

43 / 3
1883


ივერია

საკონსტიტუციო და სალიბერალურ
ქურნალი

წელიწადი მეშვიდე

№ 9

263



თბილისი

ფკთიბე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1883

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 октября 1883 г.

ქართულ ხალხის გვერდობა და განათლება
მე-VI საუკუნეებში.

აქამც თუ რუსეთის ხალხმა, აქამც თვით ქართველებ-
მაც ძალიან ბუნდათ იცინ ხვენი მამა-პაპის წარსული ცხოვ-
რება. მთელს ევროპაშიაც არ მოიპოვება რაი სპი მცოდნე
საქართველს ისტორიისა. ამისათვის ყოველ-გვარი გამოკვლევა
ქართულ ხალხის ცხოვრებიდან სასიამოვნოდ დაუჩქებათ
ხელმე იმით, რომელთაც ჭსურთ რამე იცოდნენ. მაგრამ ვე-
ლახედ უფრო საინტერესო უნდა იყოს ისტორიულ მეცნიე-
რებისათვის გამოკვლევა ქართულ ხალხის განათლებისა. ამ
წერილით ხვენ გვსურს მივაჩვიოთ მკითხველის ყურადღება
ქართულ ხალხის მწერლობასა და განათლებასე ფარნავას მე-
ფიდან დაწებული, ვიდრე მე-V საუკუნის დასასრულამდე.

რომ ამ საგნის შესახებ გამოკვლევა უფრო საფუ-
ძვლიანი და უტკეული იყოს, ხვენ გვწადიან საუბარი
ვიწყოთ ქართველთაგან საკუთარის ანბანის შემოღები-
დან მე-III საუკუნეში ქრისტეს დაბადების უწინარეს. ასრე
შორიდან ლაპარაკის დაწება ხვენ მით უფრო უმეტეს საჭი-
რად მიგვაჩნია, რომ საკუთარი მწერლობა ამტკიცებს: პირვე-
ლად ხალხის თვითმყოფობას და კეთილ-შობილურს ლტოლვი-
ლებას წერის საშუალობით დაიცვას კეთილი მაგალითნი შთა-
მამავლობის გასაწრთებულად და აღსასრულად; მეორედ—სა-

კუთარის მწერლობით ხალხი მეტადინეობს ადბეჭდოს თავისი სულის მალაღნი ზნეობითნი ძალანი მესამედ — მწერლობის შემწეობით ყოველი ხალხი იცავს სიკვდილისაგან თავის ენას; მეოთხედ — ყოველი ხალხის განათლებას იწყობს საკუთარის მწერლობის შემოღებით, და ხმარებით, და მეხუთედ — იმ ხალხზე, რომელსაც ძველის ძველადგანვე ჰქონია მწერლობა, არ შეიძლება თქმას, რომ მას განათლებას არა ჰქონდა.

მართლაცა და არიან მრავალნი ისტორიულნი თქმულებანი ჩვენსა და უცხო ისტორიულნი თხზულებებში გაფანტულნი, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ უწინაც და ქრისტიანობის შირველს საუკუნეებშიაც ქართველნი განათლებულნი და განვითარებულნი ყოფილან სწავლა — მეცნიერებითა.

ეს განათლება ქართველის ხალხისა დაიწყო ქრისტეს დაბადების უწინარეს (302 წელს), როცა ფარნავაზ მეფემ შეადგინა ქართული «მხედრული» ასოები. უეჭველია, რომ ამასვე დროს დაიწყო ქართული ლიტერატურაც: არ შეიძლება იყოს რომ ასოების გამოგონებასთან რაიმე არ დაეწერათ მოსწავლე რეკრძათათვის საკითხავადაც.

ვიდრე «ხუცურს» ასოებს გამოგონებდნენ მე-IV საუკუნეში, ქართველი ხალხი ამ ანბანით სწავლობდა წერა კითხვას და გონებით განვითარდებოდა. ვ. იოსელიანი ამბობს, რომ «მხედრულის» ასოებით იყო დაწერილი წიგნი „ნებრეთიანი“, რომელსაც მიჩიან მეფე ჰკითხულობდა. იგივე მწერალი ამბობს, რომ არის ნაპოვნი ფული აზოროკისა და არმაზელ მეფეთაო (87—103 წელს მოეობდნენ), და იმაზე ზედ-წარწერა მხე-

დრულის ასოებით არის*)). აგრეთვე დახუჯებით მოკვითხრობენ, რომ ქრ. შემდეგ, 233 წ., ქართველთაგან ქრისტიანობის მიღებად, საქართველოს მეფემ ბაკურ I-მა, განათლებულმა მრავალთა ენებისა და ელლინურსა ენაზე ფილოსოფიის მცოდნემ დასწერა და შეთხზა ქართულს ენაზე რამდენიმე წიგნი, რომელთაგან ერთი დაშთა ათონის ივერიის მონასტერში, ვიდრე წმინდისა მამისა ჩვენისა ეფთვიძისამდე და წიგნსა მას ეწოდებოდა „ბაკურს“, სახელითა მეფისა მისის შემთხზველისა. იგი სთარგმნა (მე-XI საუკუნეში) წმ. მამამან ელლინურსა ენასა ზედა, რომელსაც მოუთხრობს მისი ცხოვრება**). ეს წიგნი, გადათარგმნილი ბერძნულს ენაზე, უნახავს ათონის მთაზე რუსის მწერალს ეპისკოპოსს პორფირი უსპენსკისაც 1861 წ. იმავე სახელით, რა სახელითაც მას იხსენიებს თეიმურაზ ბატონიშვილი. ვარდა ამისა „ქართლის ცხოვრება“, ამბობს, რომ ძველად ახათარმა და დედაკაცმა სალომე უჯარმელმა დასწერეს წმ. ნინოს ცხოვრება.

ეს ისტორიულნი თქმულებანი ამტკიცებენ, რომ საქართველოს ეს ჭქონდა რაღაცა მწერლობა (ПИСЬМЕНА) და რომელი უნდა ყოფილ-იყო ის, თუ არა ქართული მხედრული, რომლის შესახებ ქართველ ხალხის გადმონაცემი ამბობს, რომ ის შეადგინა ფარნავაზ მეფემ? მართალია, ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ პირველად „ხუცური“ ანბანი იყო შედგენილი და მერე აქედან წარმოსდგა მხედრული; მაგრამ ეს აზრი ჩვენ მართალი არა გვგონია და უფრო კეთანხმებით ბატ. ი. რქომჭედლიშვილის აზრს, რომელიც „ივერიისში“ იყო წარმოთქმული; ამისათვის ამ საგანზედ ჩვენ ლაპა-

*) იხ. Описание г. Тифлиса გვ. 153.

***) იხ. ისტორია თეიმურაზ ბატ.—შვილისა. გვ. 200

რას აღარ განკაცდობთ; ვიტყვით კიდევ მხოლოდ იმას, რომ ქართველი ხალხის განათლება თვარსაჲსის მიერ ანბანის გამოგონების დროიდგან დაიწყო.

სრულიად ეჭვი არა გვაქვს, რომ წმინდა ნინოსაგან საქართველოში ქრისტეს სჯულის გავრცელებამდე ქართველი ხალხი განათლებული იყო. რით აბსსება მაგალითად რომის იმპერატორების ვესპასიანისა, ტიტისა, ამის ძმის დომიციანისა და ადრიანის მეგობრობა ქართველთ მეფეებთან, თუ არა იმით, რომ საქართველოს ერს პოლიტიკური სიმდიერეც ჰქონდა და განათლებაც? 75 წელს ქრ. დაბადების შემდეგ ამათთაგან პირველი უშენებს მცხეთაში თავის ხარჯით საქართველოს მეფეს მიტროდატ I-ს ციხეს და ზედ აწერს: „საქართველოს მეფეს მიტროდატს, თვარსმანისა და იამაზდის შვილს, რომელიც მეგობრობა გვისრისა და რომის ხალხისა“. გარდა ამისა, 138 წელს რომის იმპერატორმა ადრიანმ და სენატმა არა ჩუულებრივი პატივი სცეს საქართველოს მეფეს თვარსმან II-ს. ის დიდის ყოფით და ამბით მიიღეს რომში და ნება მისცეს იმასა და იმის ცოლს სამღრთო შეეწირათ კაპიტოლიაში, საცა მისი სურათი—სტატუა აღემართათ ცხენზე მჯდომარე*)“. რათა სცემდა ამისთანა დიდს პატივს უუძლიერესი სახელმწიფო ძულის დროისა საქართველოს მეფეთა, თუ საქართველოს ერი და მისი მეფენი იყვნენ უმეცარნი ბარბაროზნი? განა საფიქრებელი არ არის, რომ ქრისტიანობის პირველს საუკუნეებში საქართველო ძლიერი იყო პოლიტიკურათაც და განათლებითაც? რა-

*) *Особья прибавленія къ газ. «Кавказъ» 1868 г. Выпускъ первый.*

მაკლეს ანა ჭქონდათ ჩვეულებათ ბარბაროს ხალხისათვის ვა-
ტივი ეცათ: და ან კი რა სათქმელისა, რომ ძველს დროს
ქართულები არ იყვნენ, დროს შესაფერად, განათლებულნი?
ისინი იცნობდნენ ფინიკიელებს; ასურელებს, სპარსელებს, ბე-
რძებს, რომაელებს და სხვა განათლებულ ხალხებს ძველ
დროისას, და მათთან მისკლას-მოსკლას, პოლიტიკური და ვა-
ჭრული კავშირი ჭქონდათ. და ნუ თუ ამით მიხედვით ქართ-
ულებიც არ მიჭყებოდნენ განათლებას და არ გამოიგონებდნენ
თავისთვის საკუთარს ანბანს? არამც თუ საკუთარი მწერლობა,
არამედ ლიტერატურაც ჭქონდათ იმათ. ახლათარი მღვდელი,
რომელიც წმინდა ნინოს მოწაფე იყო და მისი ცხოვრება აღ-
წერა, ამბობს: როცა სპარსეთიდან მოვიდნენ მოგვნი იერუსა-
ლიმს იესო ქრისტესთვის თაყვანის-საცემლად, — ეს ამბავი შე-
იტყეს მცხეთის ურბემს და ასრე ეგონათ ურისტანი დაიპყ-
რეს სპარსეთის მეფემს და აიკლესო, „რომლისათვის იქმნა
გლოვს და წუხილი ურისათა ზედა ქართველთა, მცხეთელთა,
კოდის-წყაროელთა მწიგნობართა და ხობის განახელთა მთა-
რგმნელთა“*). რომელს ენაზე გადმოთარგმნეს ამ ურისათა წი-
გნები, თუ არა ქართულზე? სიტყვები ხმარებულნი: „ურისათა
ზედა ქართველთა“ ამტკიცებს რომ იმათ (საქართველს ური-
ათ) დავიწყებულნი ჭქონდათ თავისი საკუთარი ენა და იცოდ-
ნენ მხოლოდ ქართული, და თავიანთთვის სახმარად სადმერთო
წიგნებიც ქართულს ენაზე ჭქონდათ გადმოთარგმნილი.

თუძცა ეს თქმულება იმას არ ამტკიცებს, რომ ამ დროს
ქართველებს საკუთარი ანბანი ჭქონდათ: ურბებს შეეძლოთ

*) იხ. ქართ. ცხოვრება გვ. 79; აგრეთვე «საქართველოს სა-
მოთხე», გვ. 134.

თავიანთი ანბანი ეხმარნათ ქართულს ენაზე წიგნების სა-
თარგმნელად და საწერად; მაგრამ იმ აზრს ვი ამტკიცებს, რომ
ქრისტეს დაბადების დროს გაკვასიაში ქართული ენა ბატონო-
ბდა. ეს ბატონობა მხოლოდ მით აიხსნება, რომ ის იყო ენა გან-
ვითარებული, და ეს აზრ შეიძლებოდა, თუ იმას თავისი საკუ-
თარი ანბანი არა ჰქონოდა შეწყობილი. იქ, სადაც ურიანი ქარ-
თველთ მოწილნი იყვნენ და მწერლობა ჰქონდათ ქართულს
ენაზედ, შეუძლებელი იყო ქართველთა ც ურიათათვის მიხედვით
თავიანთი მწერლობა და მწიგნობრობა არა ჰქონოდათ. ერთის
სიტყვით, ჩვენ გვჯერა რომ ქრისტიანობის პირველს საუკუ-
ნოებში ქართველთ თავის მწერლობა ჰქონდათ და ხალხი იყო
განათლებული მაშინდელის სწავლა-მეცნიერებითა.

მაგრამ ეს განათლება იყო წარმართული და არა ქრის-
ტიანული. ამ მიზეზისა გამო 318 წელს, წმინდა ნინოსაგან
ქრისტეს სჯულის გავრცელების შემდეგ ქართველთ შორის
უარ-ყოფილი იქმნა წარმართული დროინდელი მწერლობაცა
და მაშინდელი ლიტერატურაც. სომხის ისტორიკოსნი ამბო-
ბენ, რომ წარმართობის დროს დაწერილი წიგნები დასწკეს
არმენიაში, საქართველოში და ალბანიაში. არმენიაში*) ამ გა-
მარჯვებას მიაწერენ ისტორიის მეცნიერნი გრიგორ განმანათ-
ლებელს, საქართველოში წმინდა წინოს და მთავარ ეპისკოპოსს
მიქელს, რომელიც სცხორებდა ვახტანგ გორგასლანის დედის
საგდუხტას მთავარ-მმართველობის დროს; და ალბანიაში ვილაც-
ვილაცებს და სომხის სასულიერო წოდებას. „გრიგორ გან-

*) ჩვენ «არმენიას» ვხმარობთ და არა «სომხეთს» ამისათვის,
რომ უკანასკნელს სახელს ვუძახით იმ მაზრას, რომელსაც სომხები
ასახელებენ «გუგარკ». ეს არის ნაწილი საქართველოს მიწა-წყლისა.

მანათლებელმა ურჩია წმინდა ნინოს, აშობს მოსე ქორენელი, ისიც ისრე მოქცეულ იყო იუკრიაში, როგორც ის მოქცა არმენიაში“, ესე იგი დაეწვა წიგნები და დაემტკრია კერპები. ამ გვარად წიგნებისათვის მოპყრობით სულეორ მამებს ეწადათ ხალხისათვის დაევიწყებინათ კერპობა *).

აქედან ცხადია, რომ ქართველთ ჭქონდათ საკუთარი ლიტერატურა, კერპობის დროს ნაწარმოები. მას რა დასწკეს, თუ არა ჭქონდათ? და თუ ჭქონდათ, მას უეჭველია, რომ ქართველნი არ იუენენ მოკლებულნი განათლებას იმ დროს, როცა მათ ქრისტეს სარწმუნოება მიიღეს. ამ აზრს ამტკიცებს ქართველთაგან თავის ნებით ქრისტეს სჯულის მიღების დაწყებაც მოციქულთა დროიდანვე. ისტორიის კაცობრიობაში ქრისტია-ნობის გავრცელებისა მოწმობს, რომ პირველ საუკუნეებში ქრისტეს სარწმუნოება მიიღეს მხოლოდ იმ ხალხებმა, რომელნიც განათლებულნი იუენენ, რადგანაც მხოლოდ ამათ სცნეს მისი უაღრესობა, როცა შეადარეს ქრისტეს სწავლას კერპობასთან.

318 წელს ქართველებმა მიიღეს თუ არა ქრისტეს სარწმუნოება, მაშინვე დასტოვეს თავიანთი მხედრული მწერლო-

ძველად მას ერქო «საერისთვო ხუნანისა» (იხ. ვახუშ. გეოგრ. გვ. 140), შემდეგში დაერქო «სომხითი» და არა „სომხეთი.“ როცა ქართველები დაიჭერდნენ ამ ნაწილს, ეძახდნენ «სომხითი»—როცა სომხები—„გუგარკი“ ერთმანეთის ჟაბრით და გასაფავრებელად, რომ თქვენი მიწა გვიჭირავსო.

*) იხ. Ист. М. Хоренс. გვ. 51, 153, 192; Истор. Коганкатвади გვ. 8, 241; Арменія въ V в. Ахвердова გვ. 93; ქართლის ცხოვრება გვ. 110.

ბაც და აღარ ხმარობდნენ მას 318 წლიდან დაწყებული 393 წლამდე. ეს დრო შეადგენს 75 წელიწადს.

ეს საქმე პირველად მოხდა იმ მიზეზისა გამო, რომ სამღვთო წერილი ჯერ არ იყო გადმოღებული ქართულს ენაზე; მეორედ — სასულიერო წოდება შესდგებოდა ბერძენთაგან და წირვა-ლოცვა აღსრულდებოდა ბერძნულს ენაზე; მესამედ — ამ საქმეს ხელი მოუძარტა საბერძნეთის პოლიტიკურმა ანგარიშმა.

მაგრამ დიდი ხანი არ გასულა, რომ ხსენებული ხალხები იძულებულნი შეიქმნენ ისევ საკუთარი ანბანები ქჭონდათ. რათა? რისთვის? რა მიზეზით? ამის საბაზნი შეიქმნენ ბერძნები და სპარსელები. საქმე იმაშია, რომ საბერძნეთს ჭსურდა სპარსეთი დაემარცხებინა, მაგრამ ამის შეძლება არა ქჭონდა. ამ მიზეზისა გამო, რაცა საქართველმა და არმენიამ ქრისტიანობა მიიღეს, იმან განიზრახა მათი გაბერძნება და მიმხრობა ისრე მკვიდრად, რომ სარწმუნოების მიზეზით ისინი სპარსეთს აღარ მიმხროდნენ, მათით ზურგი გაემარცხებინა და დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ის დაემარცხებინა. სპარსეთს ეს აჯაკრებოდა, ებრძოდა საბერძნეთს, აოხრებდა და იკლებდა საქართველსა და არმენიას მისის ჯაკრით, და ქრისტიანობის აღვიარების ნებასაც არ აძლევდა იმათ, რადგან სჯული საბერძნეთსა და ამ ორს ხალხს აკავშირებდა; მაგრამ არც საქართველმა და არც არმენიამ არა სტოვებდნენ თავის სარწმუნოებას. სპარსეთს ამისათვის ყელი ეხერხებოდა, ჯაკრობდა და მიკინვარებდა საქართველში და არმენიაში. ქრისტიანობის ამოფხვრას რომ ვერ მოახერხა ამ ორს ქვეყანაში, გასცა ახლა ბრძანება: აღარ ესწავლნათ ქართველთა და სომეხთ ბერძნული ენა, აგრეთვე უარი ეყრთ მისი მწერლობა და აღარც წირვა-ლოცვა

აესრულებინათ ეკლესიებში ბერძნულს ენაზე. მისის ბრძანებით მერუჯანმა დასწვა ალბანიაში და არმენიაში ბერძნულს ენაზე დაწერილი საღმთო და საეკლესიო წიგნები, და ბრძანებს გასცა წირვა-ლოცვა სირიულს ენაზე შეესრულებინათ; აგრეთვე ესწავლნათ სპარსული ენა, რომ რა არის ამ სახით ყოველგვარი კავშირი ამ ორის ქრისტიან ხალხისა საბერძნეთთან მოსპობილი ყოფილიყო.

მაგრამ ამის ნებას კიდევ არ აძლევდა საქართველოსა და არმენიას საბერძნეთი. თავის მხრით ის ითხოვდა ქართველთა და სომეხთაგან, რომ მათ მხოლოდ ბერძნული ენა ესწავლნათ და წირვა ღოცვაც მათებურის წიგნებით აესრულებინათ. ამისა გამო დიდს შეწუხებაში იყვნენ ქართველნი და სომეხნი.*)

მაგრამ უნდა გი ვსთქვათ, რომ ეს დევნა და წვალება საკუთილო და საბედნიერო შეიქმნა ამ ხალხებისათვის: გამოათხიზლა ისინი, მოაგონა თავისი ვინაობა და საკუთარი მწერლობა, ერთის სიტყვით გაჭირებამ შოაყვანა საქართველო და არმენია მოძრაობაში. რაც გი ამ ქვეყნებში ნასწავლი და გონიერი კაცი იყო, ყველანი იმას ფიქრობდნენ, როგორმე ეხსნათ თავი გაჭირვებიდან. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: «გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გასწავლიო.» ხიფათის თავიდან ასაშორებლად ქართველთ, სომეხთ და ალბანელთ გადასწვიტეს მოსპონ ბერძნული ენის შესწავლა, გადათარგმნონ თავიანთ სამშობლო ენებზე სამღვთო წერილი და საეკლესიო წიგნები. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო საკუთარი ანბანი.

*) იხ. М Хоренск. გვ. 192—208.

ამ აზრს ადგენენ: საქართველოსი, არმენიისა და ალბანიის სამღვდელთა, მეფენი, მთავარნი, ქვეყნის მოხელენი და განათლებულნი პირნი. საქართველოში საკუთარის მწერლობის შემოღებაზე ჭიჭიბობენ: მეფე ბაკურ ანუ ვარაზ ბაკურ, მესრობის მოწაფე ჯაყელი, შთამამავლობით ქართველი, კარგი მეცნიერი ქართულისა, ბერძნულისა და სომხურის ენებისა, და აგრეთვე ეპისკოპოსი მოსე; კახეთში ანუ ალბანიაში ამ აზრს ადგანან: მეფე არსვაგენი, მთავარ-ეპისკოპოსი იერემია, დიდი მთავარი ვასაკი, ეპისკოპოსი ანანია და ახალ-გაზდა მეცნიერი ბენიამინი; სომხეთ შორის ამ თეორიაში არიან: მეფე ვრახშაპუნი, მესრობი, ქათალიგოზი სააკი, მღვდელი აბელი და ეპისკოპოსი დანიელი*).

ეს ხსენებულნი პირნი ანუ, უფრო უკეთეს ვსთქვათ, კამისები შეიყარნენ ცალკ-ცალკე თავ-თავიანთ ქვეყნებში და ქართველებმა და სომხებმა აღადგინეს დაკვიწყებული ძველებური ანბანები: პირველთ „მხედრული“ ანბანი, თარხავაზ მეფისაგან შედგენილი, მეორეებმა ამას წინეთ დანიელ ეპისკოპოსისაგან, რომელიც იყო სირიელი, სომხურ ენისათვის შეწყობილი ანბანი**), რომელსაც ნაკლულეკანებს ჭქონდა და ამისათვის სომხები არ ჭხმარობდნენ, მაგრამ კამისიამ და მესრობმა მას წაუმატეს 14 ასო და ასრე შეამუშავეს და შეაკეთეს ***); ხოლო ალბანიელებისათვის კი, რომელთაც ამ დრომდე მწერლობა არასოდეს არა ჭქონიათ, შეადგინეს ახალი ანბანი, რომელსაც ეხლა ჩვენ ქართველნი «ხუცურს» ვეძახით და ეკლესიებში

*) იხ. Ист. Хоренс. გვ. 209, 210, 211.

**) იხ. Хоренс გვ. 209 და 210.

***) იქვე примѣчаніе 4-е Эмина გვ. 366.

ვხმარობთ. ის შეადგინა ალბანელმა მეცნიერმა ბენიამინმა, და არა მესრობმა. ის იყო შეწყობილი ალბანიაში ანუ კახეთში მცხოვრებ მოთავუ ხალხის გარგარენების ენაზე, რომელნიც იუვენ აგრეთვე ქართველნი, გადმოსახლებულნი 160 წელს ქრისტეს უწინარეს სპარსეთის მეფის ძმისა ვახარშაკისაგან იმერეთიდგან და ბათუმის მარტიდგან*), მაგრამ ეს მწერლობა შეძლეგში მიიღეს ქართველებმაც ეკლესიაში სახმარად; «მხედრული» კი დასტოვეს სამოქალაქო ცხოვრებაში მიწერ-მოსაწერად. ამ გარემოებამ მისცა სომხებს მიზეზი დაეტრახნათ, რომ ქართველობისთვისაც „ხუცური“ ანბანი მესრობმა შეადგინათ. რასაკვირველია ისინი მართლნი არ არიან. ეს თქმულება რომ მართალი იყოს, ერთი ქართველთ ძველთა მწერალთაგანი მაინც არის იტყოდს, რომ ქართული «ხუცური» ანბანის გამომგონი მესრობი არისო. მაგრამ ასრეთა თქმულებს ქართველთ შორის არ არსებობს. მისი გამომგონი რომ მესრობი ყოფილ-იყოს, მაშინ ის ისრეთი სრული არ იქმნებოდს, როგორც არის. მას რომ შესძლებოდს ასრე კარგად ენაზედ ასრების შეწყობა, პირველად სომხურის ენისთვის გამომგონებდა სრულსა და უნაკლულს ანბანს. რაც თავის სამშობლო ენისთვის ვერ მოახერხა, იმას უფრო ვერ შესძლებდა უცხო ენისთვის. და ან კი რა საჭირო იყო ქართველებისთვის ახალი ანბანი, როცა ვიცით, რომ მათ «მხედრული» ანბანი ჰქონდათ?**)

*) იხ. Ист. М. Хор. გვ. 81—85 და 211. აგრეთვე კავანკატვატი გვ. 5.

**) თუ მართლაც ალბანელი სხვა ანბანი ჰქონდათ ხმარებაში და არა ქართული „ხუცური“, მაშ რატომ არ არის დარჩენილი არსად კვალი

ასე და ამ სახით ხსენებულ მიზეზებისა გამო ქართველები და სომხები მიჭსკდნენ რომ იმათ შეუძლიანთ განთავისუფლდნენ ბერძნებისა და სპარსელებისაგან მხოლოდ მაშინ, როცა მათ ექნებათ: საკუთარი მწერლობა, სამშობლო ენაზე წიგნა-ლოცვა, თავიანთ მოძიეთაგან შეძგარი სამღვდლოება, თავიანთ ენაზე საღმთო წერილი და ეკლესიური წიგნები.

ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ქართველები მე-IV საუკუნის დასასრულს და მე-V საუკუნეში გაუნათლებელნი არ იყვნენ. ამ გვარი მათი მეტადინეობა მოწმობს, რომ მათ ჭკუა-გონება

სხვა აღბანური მწერლობისა? რატომ ვერ აღმოაჩინა აქამდე არხეოლოგიამ მისი ნაშთი? მართალია, აღბანელი ისტორიკოსი ვაგანკა ვვაცო მოგვითხრობს, რომ აღბანელთ წიგნები სომხის სასულიერო წოდებამ დასწვაო (იხ. ისტორია მისი გვ. 241), რადგან ისინი მართლ-მადიდებლობის წესით და მიმართულებით იყვნენ დაწერილნიო და სომხებს აღბანელების თავიანთთან სარწმუნოებით შეერთება ეწადათო, მაგრამ მაინც არ შეიძლებოდა იმათი ისრე შემესრვა, ისრე მთლად მოგროვება, რომ სადმე მაინც არის არ გადარჩენილ იყო მისი კვალი, მით უფრო უმეტეს, რომ ხალხისა და სასულიერო წოდების ნახევარი წინააღმდეგი იყო სომხებთან სარწმუნოებით შეერთებაზე. აღბანიაში კიდევაც რომ მოეხერხებინათ ამის ასრულება, იმას ვერ შეჭსძლებდნენ პალესტინაში, საცა მათ ჰქონიათ 100 მონასტერო (იხ. იქვე გვ. 230). აქ მაინც არის გადარჩებოდა ან წიგნი, ან რამე წარწერა საფლავზე ან ეკლესიაზე, ან რომელსამე ეკლესიურს ნივთზე. მაგრამ თვით აღბანიაშიაც მისი არსებობის კვალის სრულიად გაქრობა შეუძლებელი იყო, ამისათვის რომ მე-X საუკუნემდე ის შეადგენდა დაუმოკიდებელ ეკლესიას, ჰყვანდა თავისი საკუთარი კათალიკოზი, სასულიერო წოდება და სამღვთო და საეკლესიო წიგნები; ის არ დაჰკარგავდა თავის მწერლობას და ლიტურაგურას, თუ რომ ის ყოფილ-იყო სხვა, და არა ქართული «ხუცური»; მაგრამ აღბანიას ანბანი არა ჰქონია. თვით ხალხი «გარგარენი», რომ-

ანკითარებული ქქონდათ მეცნიერების მარაგანდებით. გონება გაუნათლებელი და გაუსხნელი ხალხი ვერასოდეს ვერ მიგნებდა ამ პოლიტიკურს აზრს. ეტყობა გონების სიბნელე ქართველს უკუ-ყრილი ქქონდა სწავლითა და იყო პოლიტიკურად გაწრთვნილი. თავის საკუთარის ანბანის გამგონებით და აღდგენით ერი ჩადგა ხალხოსნურ განათლების კვალში და დაიწყო ქრისტიანული მწიგნობრობა. ამას კამბობთ იმ მოსაზრებით, რომ ყოველი ხალხის ნამდვილი განათლება იწყობა იმ დროიდგან, როცა მას შეუდგენია თავისთვის საკუთა-

მელთ ენაზეც ეს ანბანი იყო შეწყობილი, იყვნენ ქართველნი და იდგნენ ალაზნის მარცხენა მხარეს ზაქათალისა და ნუხის მაზრებში, და აგრეთვე შირვანში. სომხის ისტორიკოსები იმათ სახელად უწოდებენ თავიანთებურად „გარგარაცი“, მაგრამ გეოგრაფი სტრაბონი კი იმათ ეძახის «გარგარენი»^{*)}. ეს წოდება არის ნამდვილი ქართული, ხმარებული მრავლობით რიცხვზე, და ნიშნავს მონაპირედ, გარ—გარს ანუ გან-განს, შემოღწევედ მცხოვრებ ქართველ ხალხს. როგორც ქართველთ ჩამამავლობის ხალხი მე-X საუკუნეში ის სრულიად შეუფრთდა საქართველოს ერს პოლიტიკურათაც და სარწმუნოებითაც.

თუ რომ გარგარენები ქართველნი იყვნენ ჩამამავლობით და მხედრული ანბანი იმათაც ეკუთვნოდათ, მაშ რაღა საჭირო იყო მათთვის საკუთარი ანბანიო, — მეტყუით? არ იყო საჭირო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ალბანია შეადგენდა ცალკე სამეფოს და აქაურს მეფეებს უნდოდათ დაუმოკიდებლად ცხოვრება; ერთგვარი მწერლობა ალბანელთა და ქართველთ უფრო დაუახლოვებდა ერთმანერთს და დააკავშირებდა; ეს არ ეწადა არც სპარსეთს, არც ალბანიას; ამისათვის გამოიგონეს ცალკე ანბანი, მაგრამ ის ქართველებმაც მიიღეს და ასრე ამ სახით კავშირი მაინც არ შესწყვიტეს.

^{*)} იხ. Шопень, изслѣдованія объ обитателяхъ Кавказа ст. 484

რი მწერლობა, უეჭველია, რომ ქართველების ქრისტიანული განათლებაც მასინ დაიწყო, როცა მათ აღადგინეს მკვდრეთით დაკვიწყებული მამა-პაპური მწერლობა და დაიწყეს სწავლა სამშობლო ენაზე. ეს ამბავი მოხდა ბაკურ მეფის დროს 379 წლიდან 393 წლამდე ანუ 361 წლიდან 441 წლამდე, რომელთ შორის დაიბადა და მოკვდა საეკლესიო გამომგონი ანბანებისა მესრობი. 413 წელს ანბანი უკვე არსებობდა.

ასრე, რაც აქამდე გვითქვამს, ჯერ-ჯერობით იმაზე დაკუმყარებით და ვიტყვით, რომ მე-IV საუკუნეშიაც ქართველი ხალხი არ იყო განათლებული. იმას იმედენათ გახსნილი და განვითარებული ჰქონდა ჭკუა-გონება, რომ მიჭხვდა საკუთარი მწერლობის ქონვის საჭიროებას. იმთა და სომხებმა შეამუშავეს და შეაკეთეს თავისი ანბანი, გააწყეს, როგორც რიგი იყო და საჭიროება მოითხოვდა, მერმე გახსნეს «ყოველს მარაში სკოლები» და მასწავლებლებათ განაწყეს მესრობის მოწათუთაგანნი. «ბაკურ მეფისა, მთარგმნელის ჯაყელის და ეპისკოპოსის მოსეს შემწეობით, ამბობს მოსე ქორეული, მესრობმა ივერიაში (უთუოთ მცხეთაში) შეაგროვას ყმაწვილები, გაჭყო ისინი ორად (ესე იგი გახსნა ორი სკოლა) და დაუყენა თავის მოწათუთაგან ორი მასწავლებელი: ტერი ხორცენიდან და მუშე ტარონიდან, და უბრძანა ესწავლებინათ ყმაწვილებისათვის წერის ხელოვნება“. ასრეთივე სკოლები გაიხსნა ამ დროს აგრეთვე არმენიაში და ალბანიაში.

მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ისინი გაიხსნა მარტო სპარსეთის*) ნაწილში. „ყოველს მარაში მესრობმა გახსნა სკო-

*) არმენია და საქართველო ბერძნებსა და სპარსებს ორად ჰქონდათ გაყოფილი, ნახევარი ერთს ეჭირა და ნახევარი მეორეს.

ლებიო, ამბობს ქორეული და დაიწყო სწავლებას სპარსეთის ნაწილში ყოველის მხრის მცხოვრებლებისა, — გარდა საბერძნეთის ნაწილისა, სადაც მცხოვრებნი ემორჩილებოდნენ კესარიის ტახტს და ვალდებულნი იყვნენ ეხმარნათ ბერძნული დ სირიული მწერლობანი *).

აქედან ცხადია, რომ ქართული ანბანის ხმარება, წერა-კითხვა და განათლება სამშობლო ენაზე ქართლ-კახეთში უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე იმერეთში და სამცხე-კლარჯეთში: პირველში 379 წლიდან 393 წლამდე, მეორეში 413 წლიდან 434 წლამდე. ამის მიზეზი ის იყო, რომ სპარსეთი არ უშლიდა საქართველოსა და არმენიას ჭეშონდათ თავისი მწერლობა, თუნდაც კი ამით მოესპოთ იმათ საბერძნეთთან კავშირი და დამოკიდებულება. რადგან ქრისტიანული სარწმუნოება და ბერძნული წიგნების ხმარება ეკლესიებში იმათ ონეობითად აკავშირებდა საბერძნეთთან, ამისათვის სპარსეთი არამც თუ წინააღმდეგი არ იყო ამ საქმისა, არამედ, კგონებ, ხელსაც უწყობდა; ხოლო საბერძნეთი კი ამის წინააღმდეგი იყო.

მაგრამ როცა ქართველები და სომხები მოჩინენ სკოლების გახსნას სპარსეთის ნაწილში და განათლების საქმე დააყენეს მშობლიურს ენის გზაზე, ისინი ახლას შეუდგნენ იმას, რომ საბერძნეთის ნაწილშიაც შემოიღონ საკუთარი მწერლობის ხმარება. ამ მეცადინეობამ, ჩვენის აზრით, გასტანა 17 წელიწადს. ამ დროს მეფობდნენ საქართველოში: ტირიდატი (393—305 წ.), ფარსმან მე-IV (405—408 წ.) და მირდატ მე-IV (408—410 წ.) პლ. იოსელიანი საქართველოს ეკლესიის, თავის მიერ შედგენილს, ისტორიაში ამბობს, რომ

იხ. Ист. М. Хоренс. გვ. 210 და 211.

ამ მეფეების დროსაც საქართველოში სკოლები გაიხსნა; მაგრამ 413 წლიდან ეს ხალხოსნური განათლება უფრო გაძლიერდა. ამ დროს მეფობდა არჩილ I. მისე ქორეგელის სიტყვით, ამის დროს სკოლები გაიხსნა დასავლეთის საქართველოშიაც. ის ამბობს, რომ ამ ხანებში გადასწევითეს ქართველებმა და სომხებმა სთხოვეს საბერძნეთს: მისცეს ნება, ნაცვლად ბერძნული მწერლობისა, იხმარონ საბერძნეთის ნაწილებშიაც საკუთარი ანბანი. შეამზადეს წერილები საბერძნეთის იმპერატორთან, თეოდორე მცირესთან, და სხვა-და-სხვა გამორჩენილ სასულდწიფო კაცებთან. სომხის ქათალიკობმა წერილები წააღებინა თვით მესრობსავე. მას თან გაჭყენენ მრავალნი თავის მოწაფეთაგანნი, რომელთ შორის, უეჭველად, უნდა ყოფილ-იყო საქართველოდან ქართველი თავადი ჯაყელიცა, რომელც მასივე მოწაფე და თანამშრომელი. საბერძნეთს სრულად არ ესაძრვნა უარ-ყოფა ბერძნული მწერლობისა. „დამნაშავე ხართ, რომ ჩვენთა ბრძენთაგან გამოგონებანი (ანბანი) უარი გიყვიართ, ასრე სწერს იმპერატორი თეოდორე სააკს—და კილაცა სირიელებთან წასულსართ და გიძებნიათ ანბანებიო. ჩვენ არა გესურდა ნება მოგვეცა ეგ ანბანები ხმარებაში შეიხვედით, მაგრამ მესრობმა დაგვარწმუნა, რომ მათი გამოგონება ღვთის განგებით მოჭნდაო, და ამისათვის ჩვენც ბრძანებას გაძლევთ დაუყოვნებლივ ასწავლოთ (?) ისა*).

მიიღო თუ არა საბერძნეთისაგან თანხმობა საკუთარის ანბანების ხმარებისა, მესრობი მაშინვე დაბრუნდა და დაიარა არძენია, საქართველო და ალბანიის და დაიწყო ყოველგან ქადაგება და სკოლების გახსნა იმ ნაწილებშიაც, რომელნიც ბერძ-

*) იხ. Ист Хоренс. გვ. 209, 210, 215, 216

ნებს ეკუთვნოდნენ. როგორც სომხის მეფის მდივნად (სეკრეტრად) ხამყოფმა, იმან კარგად იცოდა სპარსეთის და საბერძნეთის პოლიტიკის მიმართულება: ერთს უნდა სომხებისა და ქართველების გაბერძნება, მეორეს გასპარსება. ამისათვის მესრობი ყოველს ღონისძიებას სმარობდა როგორც ჩაგონებინა ყველასთვის, რომ მიუღოთ ახალი საკუთარი აზრები, შეესწავლნათ და ეხმარნათ და ასე დაეცათ თავიანთი სალხოსნობა გადგარებისაგან. ქორეულის სიტყვით არჩილ მეფის დროს, 434 წლამდე, მესრობმა გახსნა სკოლა ალანის მარცხენა მხარეს ბაგასაკანში, იმ განზრახვით, რომ მოსზონ კერზობა აქაურს სალხში. სკოლა ბაგასაკან, ბაღასაკან, ბაგაკან, ბალოკან, ბაგაბედრად,—ყველა ეს სასკოლო, პატკანოვის სიტყვით, სომხურად ერქო ახლანდელს ბელაქანსა*). აქ გადმოიყვანეს მასწავლებლად შემოსსენებული მუშე, რომელიც ამ დროს ეპისკოპოსად იყო. ამავე დროს სამი სკოლა გახსნეს ბათუმის მხარეს: ერთი სპერში (ისპირი)**), სადაც მასწავლებლად დაყენეს ლეონტი და ენოქი, მეორე დერჩანში, და მიაბარეს ეპისკოპოსს გნიეტს და მესამე—ეკებიაცში და მიაბარეს დანანს. ამ ხანებში მესრობი მიიწვია თავის სამთვლობელოში აგრეთვე იკერიის მთავარმა აშოტმა, რომლის საერისთვოსაც შეადგენდა ტაშირის მარა (ჯავახეთის მხარე), ხალხისათვის საქადაგებლად და სკოლის გასასხსნელად. დიდის სისარულოთ მიიღო აქაურმა სალხმა მესრობი და მისი სწავლა, ესე იგი ის ცკლილება, რომელიც მან მოასდინა სკოლებში და, ნაცვლად ბერძნულის

*) იხ. Исторія Агвапъ Каганкат. გვ. 324 въ примѣчаніяхъ.

***) იხ. გეოგრაფია ვახუშტისა გვ. 114.

მწერლობისა, შემოღობ საკუთარი — ქართული. «ამათსავით ხალისიანათ მის სხვა მოწაფეებსაც არ მიუღიათ მისი სწავლა», სწერს მოსუ ქორენელი. მოსუ კავანკატვანი კიდე ამბობს, რომ მესრობი ბრძნებს აძლევდა თავის მოწაფეებს ესწავლებინათ უმაწვილებისათვის წერა კითხვა; ის იყო სრული მოძღვარი და მოციქული; ის უქადაგებდა სომხებს, ალბანიელთ და იგერიელთ (ქართველთ) და ასწავლიდა მათ თავიანთ ენების ანბანსა»*)

ასრე და ამ სახით მე-IV საუკუნის დასასრულს გამოიგონეს ანბანები და გახსნეს სკოლები საქართველოში, არმენიაში და ალბანიაში, და დაიწყო ქრისტიანული განათლება ერისა სამშობლო ენაზე საკუთარის ანბანებით.

მაგრამ ჩვენი დასკვნა მთლად მართალი არ იქნება, თუ ისიც არა ვთქვით, რომ ხალხოსნური ანბანი არც არმენიაში და არც, ვგონებ, საქართველოში ხალხმა უოკულგან ერთ და იმავე დროს მესრობისაგან არ მიიღო ხმარებაში. ამ აზრს ბუნდათ მოიხსენიებს თვით ქორენელიცა. ის ამბობს: „არ უნდადღათ მიეღოთ მწერლობა“; . . . «ჩვენ ძალიან კმაყოფილნი დავრჩით, რომ ჩვენმა ქვეშევრდომებმა არ მიიღეს თქვენი სწავლა» (ესე იგი ახლად გამოგონებული ანბანები)**), ეუბნება თეოდორე იმპერატორი თავის წერილში ქათალიკოსს სააკს. მაგრამ უბისკოპოსი იოანე მამიკონიანი, რომელიც მე-VI საუკუნეში სცხოვრებდა, პირდაპირ ამტკიცებს, რომ არმენიაში

*) Ист. М. Хорен. гл. 210, 211, 218, 219; Истор. М. Каганкатваци гл. 70, 90; Ист. В. Великого гл. 71; Шопенъ гл. 96.

***) იხ. გვ. 214 და 215 მისი ისტორიისა.

ზოგიერთ ადგილას მე-VI საუკუნის დასასრულამდე არ იხმარებოდა სომხური მწერლობა და ეკლესიებში წირვა-ლოცვას სირიულს ენაზე აღსრულებოდნენ. მაშასადამე თითქმის 200 წლის განმავლობაში, მას აქეთ რაც მესრობდა შეამუშავა და შემოდგომა ხმარებაში სომხური ანბანი, ყოველგან არ იყო ის მიღებული სომეხთაგან და მის შემოსვლას ძლიერ ეწინააღმდეგებოდა სირიული და ბერძნული მწერლობა*). ესევე უნდა ითქვას საქართველოზე. ხუანის აზრით მე-VII საუკუნის დასაწყისამდე ქართველები ხმარობდნენ შინ მხედრულს ანბანს; ეკლესიებში კი ზოგან ბერძნულს მწერლობას, ზოგან იმავე მხედრულს; მე-VII საუკუნის დასაწყისში კი, როცა, იოანე მამიკონიანის თქმულებით, სრულიად გადაკარდა არმენიაში სირიულისა და ბერძნული მწერლობის ხმარება, — საქართველოშიაც სრულიად უარი ჰყვეს ბერძნულისა და სირიულის მწერლობის ხმარება და მიიღეს სამუდამოდ სამოქალაქო ცხოვრებაში სასმარად «მხედრული» ანბანი თარხაოზისა, ხოლო ეკლესიებში ალბანური ანბანისა, რომელსაც აწ ხვენ ქართველნი «ხუცურას» ვეძახით.**)

მღ. დიმი ჯანაშვილი.

(დასასრული შემდეგ წიგნში)

*) იხ. Исторія М. Хоренскаго, «Приложение четвертое» Эмина, стр. 374

***) ხუცურისა და მხედრულის ანბანის შესახებ რედაქციას აქვს ხელში სტატია ბ. დ. ზ. ბაქრაძისა, რომელშიაც სრულიად წინააღმდეგი აზრია წარმოთქმული, ვიდრე მამა დიმი. ჯანაშვილის წერილში და რომელიც ერთ-ერთ შემდეგს წიგნთაგანში დაიბეჭდება. რედ.

უ ი ვ უ ი ლ ი

(აზრი რუსულიდან)

მომიღდა ნამუშევარი, ღმერთმა არ მომცა პურის,
სეტევამ მორეგვა კენახი, წარიელი სდგას ჭურის,
მინდორი მკალმა მოძოვა, ბღავის ცხვარი და ფურის,
წყაროდ გაგვიშრო გოლვამა, მშინ და კიდურ მწყურის!...
თუ გაგვიძრავდა ცოდვები, რომ მოგვიკლინა შიმშილი,
სხანს ღმერთი შემოგვიწოდის, სასჯულად მოგვცა სიუმილი,
უჭმელსა კრიჭა შამკურის, გამომელის სინსილი,
ვარ და აღარ ვარ რაც ვიყავ, თავს დამტრიალებს სიკვდილი!...
დახედე ბედმა უწყალად რა მწარე შხამი მილესა,
ბაღები შემომტირის, ეს უფრო სულს, გულს მილესა,
გმობლები, მათი მტკრალნი სულ ვაკრატუნებთ გბილებსა,
დახე სიმხერეს: საზრდოსთვის ჩვენ ვაგირავებთ შვილებსა!...
შიმშილმა მილათ მიმაგდო და არც კი მითსრა მე ნანა,
დღეს, ბუნჯეს, გამწარებულსა, ხვედრმა ცოდვები მანანა,
არა რად მატეს, რომ უფალს მაინც მიუძღვნა მანანა...
წარვიდენ, განჭქრენ ის დრონი, როცა გვიწვიდა მანანა!...
სიკვდილმა კუჭი ამომწვა, მომგვარა სისუსტის ძილი,
უჭმელსა კრიჭა შამიკრა, გამომელის სინსილი,
ვლამობდი, კეფხს კემუჭროდი, დღეს მოძურის შიმშილი,
ვარ და აღარ ვარ რაც ვიყავ, თავს დამტრიალებს სიკვდილი!...

მ. რ. შრახთაგი.

წერილები ლორენსო ბენონისა.

(შედეგი*).

თ ა გ ი XXVIII

კაზახია.—დაბრუნებული წერილი.—ბრაზიანი ამაზონკა.

სანდისსან რა ხაირ ცეკლილებას ახდენს ჩვენს ცხორებაში ერთი რომელიმე პირის მოკვება! რა ხაირად გვაკლდება თვალში! გადიოდენ დღეები და კვირები, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ დაკმშვიდებულაყავით ჭანტაზიას მოშორების გამო. იმის სახლი ჩვენი თავშესაფარი აღვიღი იყო, სადაც, ჩვეულებისამებრ მივიდოდით ხელმე, რომ გვეკარებინა ბევრი უსიამოვნოდრო. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ იქ კარგად მიგვიღებდნენ. ესლა, რომორც ხომალდებმა, ჩვენ დაკვარვით ჩვენი იაფქანი და ჩვენი მეგობე. ჭანტაზიას თავის თავის იმედი, იმის გამჭრიახი ჭკუა, ახდენდენ ჩვენზე გამაღრცხებულს გავლენას და გვიმატებდენ ენერჯიას. რაკი ეს ძალა მოგვაკლდა ჩვენც თითქმის სულითა და ხორცით მოკუშვით, მარტო მე და ტეზარი არა ვგრძნობდით არანაობას და სიტარეულეს. აღჭრედი, თავადი და სჭორცაც, რომელიც ის-ის იყო გამოუ-

*) „ივერია“ №№ 7 და 8, 1883 წ.

შვეს ციხიდგან, ამისთანავე მდგომარეობაში იყვნენ. თუმცა წასვლის დროს ჭანტაშიამ გვითხრა, რომ ერთგულად და მამაცად მოიქეცითო, მაგრამ საქმე, რომელსაც ჩვენ ვემსახურებოდით, ცოტა არ იყო დაგვიწყოთ და ყველანი თითქოს ამას ვამბობდით: «რასთვის? ჭანტაშიამ ჩვენთან აღარ არის!»

იგი სწორდა თავის მშობლებს და ისინიც ჩვენ გვატყუებინებდნენ იმისი ამბავს. იგი სულთაცა და ხორცილთაც კარგად იყო. ყველა იმისი წერილები სავსე იყო ტუბილის მოკონებით რის ძმასკად, როგორც იგი ჩვენ გვეძახოდან; როგორც უკანასკნელი წერილებიდან სჩანდა, იმას შვეიცარიაში ემოგზავრნა და ამ ქვეყნის სიტუაციის ძალიან გაკვირვებინა იგი. შემდეგ იმას განემარსა პარიზში წასვლა.

რაკი ცუდი ამინდები დაიჭირა და ჭანტაშიამ ციხეში დაიჭირეს, მე ზამთარში ღილაკი თითქმის ვეღარ ვნახე; რადესაც გაზავსული დაბრუნდა, მაშინ თავის დიდის ძმომე ვუდამყოფობის გამო ღილაკი მას არ მოშორებია. მოხუცებულს გაგვიყვით უყვარდა თავისი დისწული და უძიმისოთ ერთსი წუთსაც ვერა სძლებდა. ჩვენ ხანდის-ხან წერილებს ვწერდით ერთმანეთს; მე ვამხნევდი, რომ ღილაკი დიდის მოთმინებით, რომლისგანაც არ მოკულადი, იტანდა შვეიცარიებს, რომელიც მიაყენა სსენებულმა შემთხვევამ.

ერთს მშვენიერს ღილას, სამს თიბათვეს, — მკონის მუხსიერება მე ირ მატყუებს, ამიტომ რომ რი დღის შემდეგ მე და ღილაკს განზობის ერთი წელიწადი სრულდებოდა, — მე გამოკედი კარეთ გასასვირნებლად. კვირა დღე იყო და ამიტომაც არა ჩვეულებრივი მოძრაობა ახლს ქუჩაზე, რომელზედაც მე ვავიარე. უქმად მოსიარულეთ სიმრავლემ პირველად არ მიაქცია ჩემი ყურადღება, მაგრამ რამდენიც წინ მივდიოდი იმ-

დენად უფრო მატულობდა მოსეირნეთ რიცხვი, ასე რომ ზოგერთს ადგილას ქუჩა თითქმის შეკრული იყო. იმ დროსვე მე მომესმა მხიარული მუსიკა, რომელიც მოისმოდა იქიდან, სადაც მე ვიყავ. მე გვითხე გილასაც, თუ ის რას ნიშნავდა. «ეს გაზახიას», მიპასუხეს: «შაკები გამოდიან». მე ჯერ არ მენახსა გაზახიას პრეტესია, რომელზედაც ბერი გამეგონა, და იმიტომ ესაა გასარგებლე შემთხვევით დამეკმაყოფილებინა ხედი ცნობისმოყვარეობა და დაუწყე ღოდინი, სხვა ცნობისმოყვარეობისაგან.

გაზახიას ისტორია ძალიან დიდი ხნისაა. გენუის ხალხი იყოთუბოდა რამდენსამე გორპორაციით და უკელა მათგანს თავისი წესი ჰქონდა, თავისი უპირატესობა და თავისი ლოცვის ადგილი.

რამდენიმე გორპორაცია ერთად შეერთდნენ იმ აზრით, რომ ერთად ელოცნათ. ამ შეერთებას დაარქვეს სახელი «ძმობა». კვირა და უქმე დღით დღით ადრე ძმები იყრებოდნენ საყდარში ან საკუთრად მათთვის დანიშნულ ადგილას და ისმენდნენ ლოცვას და ქადაგებას. წირვის მოსამზადებელ და მღვდლების ჯამაგირისთვის საჭირო იუულს ყოველ თვე და თვე თვით ამ «ძმობის» წევრები იხდიდნენ.

ხეივანი რა უმთავრესი ძმობა იყო: შავი და თეთრი. რიკენი გამრავლებულა, მდიდარი და ერთი ერთმანეთის მოჯიბრენი იყვნენ. ერთს შავი და მეორეს თეთრი ძმობა იმიტომ ერქვა, რომ ერთის სალოცავში ქრისტე შავად იყო გამოსატული და მეორესაში ვი თეთრად. ეს რიკენი ერთმანეთს შურით უყურებდნენ. მათი ჯიბრება და შური განსაკუთრებით მაშინა სჩანდა, როდესაც მათი დღესასწაული მოვიდოდა ხოლმე. ამ დროს რიკენი ცდილობდნენ ერთიერთმა-

ხუთი დაქაგრათ. თუ რომ თეთრები გამოდიოდნენ ახალის დროებით და გირვანქიანი წმინდა სანთლებით, მაშინ შაკები თავით დღესასწაულის დროს ორ-ორ გირვანქიანი სანთლებით და ბეჭით დიდი დროებით გამოდიოდნენ. ერთხელ თეთრები გამოვიდნენ ფარნის ტანისამოსით, მერე შაკებმაც საკერდის ტანისამოსი ჩაიცვეს. ერთის სიტყვით ეს ორი ძმობანი მეტის-მეტად მდიდრულად იცვამდნენ ერთი-ერთმანეთის ჯიბრით. მდიდარი ხალხი ორივეს შეკლდნენ, ხარჯავდნენ დიდ-ძალს ფულს, თითქმის იღუპებოდნენ. ამისათვის ამათ აძლევენ სახუჭრად „მოვარკულობის“ ხარისხს და სება ჭქონდათ ეტარებინათ შაკი ან თეთრი ჯვარ-ცმული ქრისტე. მაგრამ ყველას გომოვინება ერთი არ არის. რას იგებდა სარწმუნოება ამ თეატრალურს პრეტესიით? რასაკვირველია, ამ დღეებში წინანდელ-ზედ უფრო ბევრს სვამდნენ, თამაშობდნენ და ჩხუბობდნენ.

იმ დღეს, რომელზედაც მე ვლავარაკობ, ყველანი შაკების დღესასწაულს ელოდნენ და, სწორედ უნდა ვსთქვათ, ღოდინმა ამოდ არ ჩაგვიარა, ისე დიდებულად იდღესასწაულეს, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. ყველას ოქრომკედით ნაკერი მშუკნიერი ხაკერდის ტანისამოსი ეცვათ. ოთხს კაცს, რომლებიც პრეტესიას წინ მიუძღოდნენ, ხელში დიდრონი კერცხლის ყავარჯნები ეჭირათ, ისინიც ისე მდიდრულად იყვნენ მოწითულნი, რომ მათი ტანისამოსი ხუთი ათასი ფარანგი ეღირებოდა. ყველას, ვინც პრეტესიას მისდევდა, ხელში დიდრონი სანთლები ეჭირათ, იქ იყო ოთხი დიდი ჯვარი ძვირფასის ნივთებისაგან გაკეთებული: ერთი — პერლამუნტისა, მოწითული ოქროთი; მეორე — ვერცხლისა, მოწითული კერცხლით; მესამე — შაკი ხისა ოქროს მოწითულლობით; მეოთხე — მთლად კერცხლისა იყო. ყველა ჯვარს თავისი მუ-

სიკა მისდევდა და ის მუსიკა, რომელიც ჯვარცმას მისდევდა, შესდგებოდა სამოცი მუსიკანტებისაგან. ჯვარცმის კუთხეები ბაჟალლო ოქროსაგან იყო გაკეთებული და ოქროსივე ყურძნის მტკვნები ეკიდა. წარწერილი ასოები: ი. ნ. მ. უ. შედგენილი იყო ბრელიანტებისაგან. ერთს ბიჭს, რომელიც ცხენით მისდევდა და რომელიც კვანებ იოანე ნათლის მცემელს მოასწავებდა, ოქროს ტანისამოსი ეცვა და ეს ტანისამოსი ბატონის ტყავსა ჰგავდა, მისი ცხენის მოწითულობაც ოქროთი და უძვირფასესის თვლებით ბრწყინავდა. ოქრო, ოქრო და ოქრო — უკვლავად და სუფუკვან! პრეტესიის უკან მოჰქონდათ ოქროსგან გაკეთებული კიბორჩხალა ვილაც წმინდანის ნაწილებით.

პრეტესიას ძალიან გაჭიანურებული იყო; იგი გაგრძელდა რამდენსამე საათს. იმ სასლის თანჯრები, საითგენაც ამ პრეტესიამ გაიარა, მოწითული იყო მშვენური ყვავილებით, უფრო მომეტებულია წითელი ყვავილებით. ქუჩა-ქუჩა მათ ბევრი მასურებული ეძებოდა, რომლებიც ყვავილებს ისროდნენ. მე ის იყო უნდა გამოვსულიყავ ხალხივამ, რომ ამ დროს ჩვენი უურადლებს ერთმა დიდებულმა სურათმა მიიქცია.

ახალ-გაზდა ქალმა, რომელიც პირველის ეტაყის თანჯარაში იჯდა, თავის შავის თმებით შემოსილი თავი უკან წაიღო რომ მორიდებოდა ერთს დიდს ხელს, რომელიც ვარდებით იყო სავსე და უნდოდა იმ ქალისათვის თავზე დაეყარა.

ამ ახალ-გაზდა ქალის შეხედულობა სავსე იყო სიტურთითა და შვენურებით. დიდ ხელის პატრონმა ცოტა უკან დაიწია. იმის სახე ერთს წუთს დათვარებული იყო ამ ახალ-გაზდა ქალის შვენურის თავით; როდესაც იგი გვერდზე გადაიხარა, მე ბელტონი დავინახე! იმავე წამს ახალ-გაზდა ქა-

ლი წინანდებულად დაჟდა თანჯარაში და დაიწყო ჭეხაში ცქერა. ეს იყო ლილა! ჩვენ ებრძანეთს შევხედეთ, რისაგამოდ იგი ანაზღაურად გაჭქრა თანჯარიდან. მე გულში სასიკვდილო სიტყვე ვიგრძენ, გიყისავით გავაპე ხალხი და წაკედი შინ.

მე კამოდში მედო ლილასაგან გამოგზავნილი წერილები და საჩუქრები, რომლებიც ისევ ისე იყო მახვეული და დაბეჭდილი, როგორც ჩამდენიმე თვის წინად მე მას წავუღე. მე ავიღე პაკეტი და, — რადგანაც იმანკად აღრესი არ ეწერა, — დავსწერე ლამაზის ასლებით: «ბატონს მარკიოს ანტონს, სამსთობათვეს, შუა დღის პირველ საათზედ. ჩაბარდეს დაუყოვნებლივ.» მე პაკეტი ჯიბეში ჩავიღე და გავიქეცი ჩემს ძველს მეგობარ მებაღესთან. იქ შემთხვევით შემხვდა იმისი დისწული, თოთხმეტის წლის ბიჭი. მე წამოვიყოლე ის, მოვიყვანე იმ სახლთან, სადაც ლილა სცხოვრობდა, ვუთხარი შესულიყო იქა და ეს პაკეტი მიეტა ლილას მოსამსახურე გოგოსთვის. ყოველივე ეს იმან ასრულა. ლილა ჯერ შინ არ დაბრუნებულა. რა ბედნიერება! ყოველივე იქნის საათის განმავლობაში აღსრულდა. იგი ეხლა მაინც დაინახავს, რომ მე არა ვყოფილობდი. მე ბიჭს ცოტაოდენი თული ვახუჭე, რომელსაც თითქმის გაუგებრდა. ნახევარ საათის უგან მე ჩემ სახლში ვიყავ. აღუღებულმა მდგომარეობამ, რომელიც აქამდის მამხნევებდა, გაიარა და მე ვგრძნობდი ჩემს თავს უბედურ, საცოდავ და გამარტოებულს არსებად. მე დავკეცი კრაოტზედ, თავი ბალიშიში წავყავ, რომ დამეძლას ჩემი ჭკითინი და ბავშვისავით დავიწყო ტირილი.

ავიღე კიდევ თავი და დავინახე ჩემს გვერდით მდგომარე სანტინა. მე გაბრაზიანი და შემრცხვა, რომ მან ამისთანა მდგომარეობაში მხახა.

— თქვენ აქ რას აკეთებთ? რისათვისა მზუკრავთ?

სანტინამ ენა დაბმით მოითხოვა ჩემგან შენდობა და თავის გასამართლებლად მითხრა, რომ აკად მეგონეო.

— გთხოვთ სხვა დროსთვის აგრე მშიშარა და ცნობის მოყვარე ნუ იქნებით. გთხოვთ თავი დამანებოთ.

მას ძალიან ეწყინა და რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა კარებისკენ.

იტალიაში, სადაც მოსამსახურეებს ისე უყურებენ, როგორც თავით ოჯახის შვილებს, იგინი თავით ბატონებს შინაურულად ექცევიან. რაც შეგვესება მე და სანტინას—ჩვენ უფრო უბრალოდ ვექცეოდით ერთმანეთს, რადგანაც მე ამ სასაღვაზდა ქალს წერა კითხვას ვასწავლიდი. მე ვიგრძენ, რომ ძალიან სასტიკად მოვექეცე და დაკუძახე დაბრუნებულყო.

— აგრე ნუ მიტყეართ, სანტინა. მე ვიცი, რომ თქვენ გულ-კეთილი ქალი ხართ და არ მინდოდა თქვენთვის მეწყინებინა.

— მე არ შემიძლიან გულ-გრილად გიყუროთ თქვენ მაგ მდგომარეობაში, მომიგო ოხვრით.

ეხლა ჩემი რიგი იყო იმისთვის ნუგეში მეცა.

— ნუ სწუხდებით მაგისთვის, სანტინა, მე არ მოგგოდები. ეს ჩქარა გაივლის.

— მე მინდოდა დამეწვა ეს წერილი. მე მინდოდა გამეცნო ქალი! სთქვა სანტინამ გულმხურვალედ.

— რა წერილი? რომელი ქალი?

— წერილი, ქალის ხელით დაწერილი, რომელიც მე მოგუცით ამ ერთის წლისა და ორის თვის წინად.

— და მას აქეთ მაგაზნოდ მიწერებით?

— გული მეუბნებოდა, რომ თქვენ ეგ წერილი კარგს აწაფურს დაგაყრიდად.

— იქნება მართლაც გიგრიძე გულმა. თქვენ კარგი მესხი-რება გაქვთ. იმ ქალის ნაწერს იცნობთ?

— დიაღ, თუ გინდ ათას ხელ-ნაწერში.

— კარგი! მაშ იმ ქალისაგან დაწერილი წერილები რაღა მოვიდეს, უკანვე გაგზავნე ხოლმე, და უოხარით, რომ მაგას ჩემი ბრძანებით შერებით.

სანტინას სასე გაუმხიარულდა.

— თქვენ მე მოძენდეთ, მითხრა მან:— მე ვეცდები.

მართლაც და მან აღასრულა ბრძანება. მერეს დღეს და შემდეგაც იმ ქალისგან ბევრი წერილები მოვიდა. სუყველანი უკან დააბრუნა. შარის რეკვას გაიგებდა თუ არა, სანტინა მაშინვე კარებს მივარდებოდა, და ერთი კვირის შემდეგ, რადესაც ჩვენ გვინდოდა სოფელში წავსულიყავით იგი გვირჩევდა ქალაქში დაგჩენილიყავით, რადგანაც ეშინოდა, რომ ვაითუ ჩემს იქ არ ყოფნაში, ჩემი ბრძანება აღარ ასრულებულიყო. იგი მოვიდა ჩვენთან სან-სეკონდოში ერთის თვის შემდეგ.

რას ნაირად გამოცვლილას სოფელი სან-სეკონდო! მე თითქმის ის აღვილი იმ აღვილად აღარ მეგონა, რაგორიც წინა წლებში მინახავს; ძწვანეს დაკარგა ჩემთვის თავისი ლაზარი, ჭაერს—სისუფთავე. ჭანტაზი იქ არ იყო. მაგრამ ერთი იმის სახლის ნახვა, რომელიც გორაზედ იდგა, გულს მინარებდა. რას ნაირ დაცარიელებულსა და დაღონებულსა ჭკავდა ეს სახლი, თუმცა გაღებულ სტავნები ამტკიცებდნენ, რომ იქ ხალხი ვიდევ სცხოვრობდა.

სან-სეკონდოში სამი თვე გაკატარე, მაგრამ ამ სამს თვეში არავერი მისიამოვნია, სულ მოწყენილი ვიყავ და ძწუხს-

რებით ვიგონებდი წარსულს დროს. ყოველ-დღე ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ ღილაკს არას დროს არა ვუვარებივარ, რომ თუმცა მე იმაზედ ვაკლენა მოვახდინე, მაგრამ სასიათებით, გრძნობით და საგანზედ შესედულობით ერთმანეთისაგან ძალის ვიჩხეკით. უცრად დიდი ხნის სიხუმის შემდეგ ღილაკსაგან მივიღე წერილი, რომელმაც სულ არივ-დარივს ჩემი ფიქრები.

ღილაკს ისეთის გამოცუდილის ხელით დაეწერა წერილი, რომ სანტინასაც ველარ ეცნო და გადმოძრა ის წერილი. რაკი ვაკსენ ეს წერილი, ველარ მოკითხინე და ბოლომდის წავიკითხე. ღილაკს საშინელის მუდიდურის კილოთი მწერდა წერილსა: იგი მწერდა, რომ დიდად გამაჯავრს შენმა ქვეყანაში ცხოვრების უცოდინარობამა, მაგრამ მაინც შენზედ ვფიქრობ; ამას გარდა იგი მწერდა, რომ დიდი ხნის გამხეკდი, რომ შენ ჩემი თავის დანებება გინდოდა, რომ შენი ასეთი ქვეყნისაგან და არც ერთს შეტოვსას კაცს არ შეშვენილო. წერილი იმით თავდებოდა, რომ მიგონებდა, ვითომ მე სხვა შემყვარებოდა და იმას იმიტომ ვანებებდე თავსა.

ამ წერილმა კვლად აღმიშალა დაიარაკებული გულის ძველი დარღები. შენ სრულად უღანაშაულო იყო და სხვები კი დანაშაულად გთვლიდნენ! ამასზედ მეტი სასჯელი კიდევ იქნება! პირველს გახრახებამზედ მე დავსწერე წერილი, რომელიც არ ვაკვზავს და ძალიან კარგადაც მოხდა. ახი არ იქნება მას სანახავად დრო დავუნიშნო და მაშინ როგორც მინდა პირში ისე ვაკლანძო? ბევრმა საათმა გაიარა იმის ფიქრში, თუ როგორ მოქცეულიყავ. ძლივს ერთს აზრზედ დავდექი, რომელიც ჩემის აზრით გონიერული და ღირსეული იყო. მე ღილაკს წერილი შეკუტში ჩავდე და უკან დავუბრუნე, ისე რომ არც

ერთი სიტყვა არ ჩამიძატებია. მაგრამ ამ წერილში, რომელმაც ასეთი მწუხარება მომიყენა, იყო ერთი წვეთი დასამშვიდებელ ბალზამისა, ჩემი გულის იარების საკურნებლად. ღიღლა ეჭვიანობდა, და ჩემს შესარცხვენად გატყუდები, რომ ჩემი გული ამ თვითების გამო სიამოვნებითა სძებრდა. ვისზედ ეჭვობდა? ძალიან შესაძლებელია რომ სანტინასზედ. ღიღლას მოახლეს მოჭქონდა თავის ქალ-ბატონის წერილები და სანტინა ელახვარაკებოდა ხოლმე მას.

მე ვსთქვი, რომ სან-სეკონდოში ჩვენი სახლის პირდაპირ სათიკე იყო, რომლის შუაშიაც წყალი მიჩქრიალებდა. მარჯვნივ მხარეს რამდენიმე ხე ერთად იდგა, რომლების ჩრდილს ქვეშაც წამოვწებოდი ხოლმე და ან ვკითხულობდი, ან ვთვითვლობდი. შუა ღღისას რომ ჩამოცხებოდა, აქ ბევრი ჩიტები გროვდებოდნენ, რომლებიც ჩემსავით საჩრდილობლად მოდიოდნენ. მე ვუთხარი ერთს ამ ხეზედ ჩემთვის ქოხი გაუკეთებინათ და იქიდან საწყალ ჩიტებს თათს ვესროდი ხოლმე. ეს ქოხი ჩვენი სახლიდან კარგადა სჩნდა და კარგათაც მესმოდა, რაცა შინიდან დამიძახებდნენ. სადილის წინ მე იქ ყოველთვის მივდიოდი და, სინამ არ დამიძახებდნენ, აღარ წავიდოდი ხოლმე. ღიღლასთან წიგნის გაგზავნის შემდეგ, მეორე დღეს, მე ჩუულებისამებრ წავიდი ჩემს ქოხში. წამოვწეჭი თუ არა მაშინვე ჩემს წინ დავინახე. . . ახა გამოიცანით ვინა. . . ღიღლა!

— ძლივს არ მოხვედი, მითხრა იმან;— მე შენ აგერ თრი საათია გული.

გაკვირვებულმა და გარცხებულმა ჰასუსის მიტემა კვლავ მოვასხერხე.

— თქვენ არ მოელოდით განა, განაკრძო მან მწუხარების გი-

ლოთი:—რომ მე როდისმე მოვიდოდი ამ თქვენგან სასურს-
კოდ აწერილს თქვენს სოფელში და გგონებ არც იმას მოე-
ლოდით, რომ მე მოვიდოდი თქვენს სიამოვნებისათვის.

— თუ ჩემი სიამოვნებისთვის მოსულხარტ, სწორედ გითხ-
რათ, არათურად მესიამოვნა. თქვენი ქცევა თქვენს უჭკუობას და
მოუსაზრებლობას ამტკიცებს. აქ ხომ ყველანი დაგვინახვენ.

აილლამ ტუჩები მოიკვნიტა.

— თქვენ მგონია იმაზედ ლაპარაკობთ, რომ ამისთანა
ქცევით ჩემს სახელს ჩიჩქს მოვცნობ? მომიგო იმან. ეგრე
ჭკვიანური აზრი საიღამ მოგივიდათ ასე უეცრად? თქვენ წი-
ნად აგრე მშიშარა არ იყავით, როდესაც ბაღში ყოველ-დღე
ერთმანეთს ვხვდავდით ხოლმე.

ჩვენ ჩვენი სახლის პირ-და-პირ ვიყავით და ამისათვის
აილლას ძალას ვატანდი, რომ სხვა მოთარებულს ადგილას
წავსუდიყავით. «ჩემთვის სულ ერთია, მეუბნებოდნო იგი, დამი-
ნახვენ თუ არა.» მაგრამ მე იგი დავაჯერე ხეების იქით გა-
დავსუდიყავით. იმას ამზონკა ეცვა და ხელში მათრახი ეჭი-
რა. სახე თერ-წასული ჰქონდა, ტუჩები კი თეთრი და მოკუ-
მული. რადგანაც იგი არა ლაპარაკობდა, ამისათვის პირველად
მე დავარღვიე სიხუმე.

— მე ძალიან ვწუხარ, რომ აქა გხვდავ: მე მეშინიან და
დაწმუნებულად ვარ, რომ ჩვენის ერთად შეყრისაგან კარგი
არათური გამოვა. მაინცა და მაინც, მე მზადა ვარ მოვისმინო
ყოველისთური, რასაც კი მეტყვი.

— თქვენ ძალიან ციკგულა ხართ, თქვენ ისეთს მკვახე სი-
ტყუებს იტყვით ხოლმე, რომლებსგანაც ძარღვებში სისხლი
ამიდუღდება ხოლმე.

რავი შეკნიშნე, რომ ის გასაბრძოლებელს მიზნებს ეძებდა, მე ვასუხი არ გავეცი.

— თქვენ გუშინ, განაგრძო მან ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, — დამიბრუნეთ ჩემი წერილი. რა ნება გქონდათ, რომ ასე სასტიკად მომექცით?

ძნელაა თუ არა — საჭიროები კი არიან მასწავლებლები და აი მიზეზი, რომ ამ უკანასკნელების რიცხვი დღითიდღე მრავლდება და ყველა მოწოდებული და არა მოწოდებული ადვილად ჰკიდებს მას ხელს.

ადვილად გადავალთ აქედამ იმ საგანზე, თუ რა ძნელაა პირველ-საკითხავის წიგნის შედგენა სახალხო და ყოველ პირველ-დაწყებითი სკოლებისათვის. რა ძნელაა პირველის წიგნის შედგენა სამშობლო ენაზედ, თორემ უცხოზედ კი არა! აქ ერთბაშად იბადება ათასი კითხვა, ჩნდება ათასი მოთხოვნილება. როგორი მასალა შეუძლია გაცდამა წიგნს? როგორც გინდათ ეძიეთ, გეუბნებათ სკოლა, მხოლოდ ის მოთხოვნილება კი დააკმაყოფილეთ, რომ თქვენი წიგნი ენასაც აკარჯიშებდეს, გონებასაც. ადვილი და გასაგები საკითხავიც იყოს, მოსაწყენი შიგერითი ილტვის ოდენაც არა უნდა რა და სხ. ახლა გამობმანდით, იხმარეთ მამაცობა და ერთი კალმის დაჭრიალებით ახუდაწიკვებით შეადგინეთ ასეთი პირველ-საკითხავი წიგნი. დი-

ღებისთვის, უფროს კლასებისთვის, მასწავლებლობისა არ იყოს, უფრო ადვილია. იქ რა! მოთხრობა გინდა—აიღე «კატია-ადამიანიდაძი», ან «მეჯღანუაშვილიდაძი» ერთი დიდი ადვილი და ჩაუერთე საკითხავ წიგნში. ლექსი გინდა—აიღე «დიმიტრი თავდადებული» ან «მეტია მესხი» და ჩაბეჭდე შენ წიგნში. რა, შეტხნა მოგინდება თუ!? პირველის წიგნის საქმე კი სხვა ხაზად არის. აქ უნდა შენ თითონ მოიგონო ლექსიც (რადგან ჩვენიც და სხვისა პოეტებიც ბავშვებისთვის ვერ იცლიან ხელში), პატარა მოთხრობაც, პატარა საუბარიც რომელსაღე საგანზედ და სხ. ენა? ესეც უნდა ბეგრგან შენ თითონ შეიმუშავო ბავშურ კილოზე, რასაკვირველია; და არც კი ის დაივიწყო რომ ბოლოს ისე, ფონს რომ მოუკლი, ლიტერატურულ ენაზედ გახვიდე. სტატიების არჩევა! ვაი თქვენს მტერს, თუ შენ დაიწყე ბავშვთან ლაპარაკი «მამულის სიყვარულზე», ან «მამაცობაზე», ან სხვა ამისთანაზე, მამინვე გამოვა პედაგოგ-პსიხოლოგი და შეგაყენებთ: როგორ შეიძლება რვა წლის-ბავშვთან ურომლო საგანზედ ლაპარაკი, როდესაც ყოველი მსჯელობა, მეტადრე პატარა არსებისა იწყობა კერძო ნივთიდაძი, ნაცნობი საგნიდგან, შემდეგ გადადის შორეულზედ და მხოლოდ ბოლოს შესაძლოა ფიქრი ურომლო საგანზე. ერთის სიტყვით ყოველ ფეხის გადადგმაზედ დიდი სიძნელეა. უშინსკი ამბობს ერთ ალაგას თავის თხზულებაში: ყველაზედ ძნელი მთელ დიდაკტივში პირველი საკითხავი წიგნის შედგენაა. მკითხველს, გგონებ, ცოტათი გავაგებინებთ, რომ მართლაც და ეს ასეა. რამოდენა ხანია, რაც რუსის სკოლა არსებობს. რამოდენა პედაგოგებმაც კი სცადა (არა - პედაგოგს ვილა სთვლის), რომ შეედგინათ ცოტათი მაინც ხეირიანი პირველი წიგნი, მაგრამ ვერა, ვერც ერთს ნახტომი სწორედ ვერ მოუვიდა. ბოლოს

რუსის სკოლა გააბედნიერა უშინსკიმ. იმან მისცა ზატარ ზავშეს სასიამოვნო, სასარგებლო და ღამაში წიგნი, ეგრედ აწოდებული «РОДНОЕ СЛОВО».

უშინსკის წიგნის დაბადებამ ახალი ხანა შექმნა რუსულ სკოლაში და დღემდის ას მილიონიანი რუსეთი იმის წიგნზედ ასწავლის და აძლევს პირველ განათლებას. რა იყო ისეთი უშინსკი და რა არის იმისი წიგნი, იქნება იკითხოს ვინმე. პირველი კითხვა კი ცოტა უაღაგო მქვანა და მეორეზედ კი მოგიგებთ, რომ მისი ზაწია წიგნი არის შედეგი მთელი ათის წლის დაკვირვებისა, მთელი ევროპის სასკოლომძღვანელოების კრიტიკულად გადახსწკისა და განხევისა და ბოლოს პრაქტიკისა და საკუთარი ბეჭითობისა. მისი შრომა არ არის გადასხვაფერება წინანდელ შრომათა. იგი დაიბადა ახალ აზრზე, ახალ მეთოდზედ, ახალ სისტემაზე აშენებული. ძალიან იშვიათია, რომ მიბადვამ, გადმობეჭდვამ და გამეორებამ იმისამ, რაც უკვე არის და რაც უკვე ყოფილა, წარმატება მიიღოს და სარგებლობა მოიტანოს. ეს დაემართათ უშინსკის შემდეგ დაბადებულ სასკოლომძღვანელებს. ეს ზაულისონი ვარა, ეს ვადაკოზოვი, ეს ბარონ გორტიო, გამოდირდენ ასპარეზზედ, ადგენდნენ პირველ საკითხავ წიგნებს, მაგრამ, რადგან ისენი ახალ მეთოდს და ახალ სისტემას კი არ იძლეოდნენ, არამედ იმეორებდნენ უშინსკისაკე აზრებს, მხოლოდ დამახინჯებულად, ამიტომ არც ერთ მათ შრომას წარმატების დღე არ ეღიწსათ. ყოველ ახალ შრომას, თუ თავისებურება არ ეტყობა, თუ რამე ახალს არ ამბობს, რასაკვირველია, იმისი დღენი დათვლილი უნდა იყოს.

ჩვენ ქართულ სკოლაზედ რომ გადმოვიდეთ, იგივე ითქმის. ბ. გოგებაშვილმა გვაჩუქა ჩვენ «დედა-ენა» და «ბუნების კარი». არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენს, საიღამ წარმო-

სდგნენ ეს სახელმძღვანელოები და ვისი ბეჭედი აწით მათ. რუსებს რომ «Родное слово» და «Дѣтскій міръ»-ი არა ჭქონოდათ, ჩვენ კიდევ ჩვენი სახელმძღვანელოები არ გვეჭებოდა. თუ «დედა-ენას» და «ბუნების-კარს» წარმოეტება მიუცათ, ეს პირ-და-პირ მიეწერება ჯერ უშინსკის ნიჭს და ძალას და მერე, რასაკვირველია, მადლობა გადმოკეთებულსაც ეთქმის. მაგრამ წარმოიდგინეთ ეს გადმოკეთება, ეს გადასხვაება რუსულს ენაზედ რომ მომხდარიყო. წარმოიდგინეთ რომ ვისმე «დედა-ენა» და «ბუნების კარი» რუსულ ენაზე შეედგინა, რა იქნებოდა! ის რომ ყველა ეტყოდა შეძგენელს: ტყუილი ჯაფა მიგიღიათ, ჩვენ მაგ გვარი წიგნები უკვე გვაქვსო.

დიდ ხანს გასტანს კიდევ უშინსკის მეუობა რუსის სკოლაში, იქამდის, ვიდრე არ დაიბადება ისეთი პედაგოგი, რომელიც პირველად უნას ჭყოფს მის მეოხდას, მის სისტემას; შემდეგ დაადგენს უფრო გონიერულს შესედულობას და ამ უკანასკნელის შეფერვებით შეადგენს სახელმძღვანელოს. იმდენ ხანსვე ქართულ სკოლაში იმეოებს ბ. გოგებაშვილი.

დაახ, ძნელი და დიდი საქმეა პირველ საკითხავის წიგნის შედგენა. თუ ჩვენში ამას ადვილად უნტყვიან, და კოჭაობას ეძახიან, ეს მარტო ჩვენს უმეცრებსა ამტკიცებს და სხვას არაფერს. ჩვენში რა საქმეს არა ხდიან გაადვილებულად. მოიხედავთ, ვიღაც ჭბუჭდავს საყმაწვილო ფურნალს; მიიხედავთ, მკანს საწერი დედანი გამოუცია. აგერ იმ პედაგოგს კიდევ სახატავი ნიმუშები გამოუგონია, რომელსაც მხატვრობისა და მის კანონებისა იხიცი არ ესმის. რა ამბავია, ყმაწვილებო, რა გაჩქარებთ, დღეს ჩავივარდათ აწრი თავში, დღესვე რომღო მიაჩბუკინებთ თქვენ ორის წამის ნაშრომს ტიპოგრაფიაში! მოითმინეთ, გადაშინჯეთ კარგა, გამოსცადეთ თქვენი შრომა, შეამოწმები-

ნეთ ვისმე და ისე გამოეცით საქვეყნოდ. თუ არა ეს რასა ჰგავს.

ვიდრე ამ წერილის მიზნის შესახებ, ე. ი. ბ. აღნიშნული წიგნის თაობაზე დაკვირვებდეთ დახარკავს, ერთი გასკვამობაც უნდა გაკისრნოთ. თუ რომ ისეთი ძნელი საქმეა სამშობლო ენაზედ პირველის წიგნის შედგენა, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ამნაირივე წიგნის შეთხზვა უცხო ენის შესასწავლად სწორედ დიდ გამჭრიახობას მოითხოვს. მე გამბობ და გგონებთ ყველა შეგნებულ კაცსაც ისე იფიქრებს ისეთის წიგნის შედგენაზედ, რომელიც უნდა შეიცავდეს რასმე ახალს, რამეს თავისას, რომელსაც შემდგენელის ან ახალის პედაგოგის რამე განსაკუთრებული ნიშანი უნდა ეტყობოდეს.

მთელმა ევროპამ აქამდის ძლივს გამოაჩვენა მხოლოდ რამე მეთოდა უცხო ენის შესწავლისთვის. ესენი არიან: გრამმატიკული და პრაქტიკული. გრამმატიკულს მეთოდს ცოტად თუ ბევრად თითქმის ყველანი იცნობენ. ამ მეთოდაზედ არის შედგენილი, მაგალითებრ, ფრანგიულის ენის სახელმძღვანელო — მარგოსი და იმის მიხედვით შედგენილი ჩვენი რუსულის ენის სასწავლო წიგნი ბ. კალანდარიშვილისა. ამ მეთოდის აზრი ის არის, რომ ენის შესწავლა იწყობა გრამმატიკით. მორე ან მესამე გვერდზეკვე ამათთანა წიგნებში იწყობა გრამმატიკა და გასდევს ბოლომდის. აქ უნდათ, რომ გრამმატიკის სწავლით შესწავლონ ენა.

პრაქტიკული მეთოდა სულ სხვა ნაირია. უნდა მოვიხსენოთ, რომ ამ სიტყვას აქ ის მნიშვნელობა არა აქვს, როგორცაჲ საუბარში აძლევენ. ეს მეთოდა იმას არა ჰნიშნავს, რომ ბავშვს დაჰსკიოთ გუგურობის ტყუილი და პრაქტიკულად შესწავლოთ ენა. არა, ეს მეთოდა უარ-ჰყოფს პირველს მე-

თოდან. ეს ამბობს, რომ გრამმატიკა შეადგენს ენის გვი-
 რგვინს, ენის შესწავლის ბოლოს და არა თავსაო. ჯერ რა დროს
 გრამმატიკას, როდესაც კაცმა პურის სახელი არ იცისო. ამი-
 ტომ ამ მეთოდით იწყობა ჯერ წინადადებების, სტატიების
 შესწავლა, ერთის სიტყვით, ენის შესწავლა და შემდეგ ამ ცო-
 ღნისა შესწავლის თუ დროს გრამმატიკასაც და თუ არა და
 სჯერდება მარტო მას, რომ ბავშვმა იცის ლაზარაკი და
 შეუძლიან წაკითხულის გაგება. რომელი მეთოდია ამ ორში
 უფრო გონივრული, რომელით უფრო ადვილად შესრულდება
 სასურველი, ამასევე სიტყვას არ გაკავრძელებთ. მოვარგებთ
 მხოლოდ მკითხველს, რომ პირველმა მთელი დიდის-ხნის თა-
 ვის არსებობით არავითარი სარგებლობა არ მოიტანა და მე-
 ორემ კი თავისი ძალა იზინა დაარსებაშივე. მოვარგეთ,
 თქვანციულს როგორც სწავლობდნენ და ან სწავლობენ
 ეხლაც უმაწვილები იქ, სადაც ეს სწავლა მარტოს წი-
 გნზე მიდის. მთელი რვა წელიწადი კაცს უნდა ეთუთიუშნა
 და ბოლოს გარდა რომელიმე არსებითის სახელის დაბრუნებისა
 ან ერთ-ერთის ზმნის დაუღკლილების მეტი არა სცოდნოდან რა.
 ბევრს აქებს ბ. გოგებაშვილი კალანდარიშვილის სახელმძღვანე-
 ლოს, მაგრამ მისი ქება და დიდება ვერათერი დამარწმუნებე-
 ლი საბუთია. თუ მარტო რვა წლის განმავლობაში ვერას
 ახერხებს და მიზანზე შორსა სცემს, კალანდარიშვილის წიგ-
 ნიც აგრეთვე, როგორც აგებული იმავე სისტემასევე, ათასჯერ
 უფრო შორს გასცდება მიზანს, რადგან ამ უკანასკნელს ცო-
 ტა დრო ეძლევა გასავლელად. ის, რასაც პირველი რვა წელს
 ვერ ასრულებს, რასაკვირველია, უოკლად შეუძლებელია შესრუ-
 ლოს მეორემ ორს, სამს ან ოთხს წელს.

პრაკტიკული მეთოდით, როგორც ესთქვით, გრამმატი-

კას თავი ჭნებდნება ზირკულში და იწყობა საჭმე წინანდაბათს შესწავლით. ისიც უნდა დავასკვნათ აქვე, რომ ეს მეთოდა სასტიკად სდეგნის ყოველ გვარ გაცალკეებულ ფრაზებს. იმას სძულს: Я—მე, ТЫ—შენ, ДИТЯ—ბავშვი, КАЛОШИ—კალაშები, ДЕРЕВО—ხე და სხვა ამისთანები, რომლითაც კალანდაწაშვილის წიგნი სავსეა და რაიც ბ. აღნიშვილმაც გაიმეორა. რა მიზეზია ამისი, ამას უფრო კარგად «ზირკული ხაბიჯის» განხილვაში ვნახავთ.

ასპარეზი, რომელიც ასე ძნელია და რომელზედაც ლამის ყოველად უნაყოფოდ ჩაიარონ მარგობმა, ილენდორჩებმა, კალანდაწაშვილებმა და მათ თანამოაზრეთ, თხროლობს დიდ ღვაწლს, დიდ მოძინალებას, როგორც თეორეტიულს, ისე პრაქტიკულს და იქნება ნიჭსაც, რადგან საჭმე ისე დიდია თავისი მნიშვნელობით და ძნელი ასრულებით. ესევეა მიზეზი, რატომაც ზედაგოგებიც და ყველა ის პირნიც, ვინც კი სკოლას თანაუგრძნობენ, დიდის სინარულით მიეგებებიან ხელმე ყოველს ასალ შრომას აღნიშნულ გზაზედ. ყველას გულით უნდა, რომ ახალი წიგნი შეიტავდეს რასმე ახალს და ქების ტაშს დასასრული არ ექნება, რომ მართლაც ჭზოვონ რამე, ერთი წინანდაბება მაინც, ერთი იოტის ტოლა მაინც რამე ახალი, შეატყონ მცირედი მაინც რიგინალურობა, რამე თავისებურობა. ესევე არის მიზეზი, რომ ჩვენ ვაკვირდებით აღნიშვილის შრომას და გვინდა, ძალიან გულითა გვსურს, რომ იგი წარმოადგენდეს რასმე კარგს. ჩვენ არ ვიქნებით მსჯელობაში ძალიან სასტიკი, დაუთმობთ ახალ-გაზდა ავტორს ყველაფერს, თუ რომ ის მიგვიითიებს თუნდ ერთ სტრიქონზედ და გვეტყვის: აი ეს არა ჭჭონდა კალანდაწაშვილის წიგნს, მაშინ, როდესაც ძალიან საჭირო კი იყო, და აი ჩემ შრომას კი აქვსო.

ყოველ ახალ სახელმძღვანელოს კარგი, საბუთიანი და დალაგებული წინასიტყვაობა უნდა, რომელშიაც ავტორმა უნდა ახსნას თუ რა იყო მიზეზი წიგნის დაბადებისა, რას შეიცავს და როგორ და სად უნდა იხმაროს იგი; მაგალითებში, სოფლის სკოლაში, საშუალო სასწავლებლის პირველ კლასებში, თუ სახლობაში და სხ. აღნიშვილს არც ერთი ეს საჭიროდ არ დაუნახავს და მიუხედავად ამის გამოცნობა საზოგადოებისთვის. ეს გარემოება, სწორედ გითხრათ, ჩვენ ვერა გზით ვერ აგვიხსნია. რად დაზოგა ახალმა პედაგოგმა ვრცელი განმარტება და ამის მაგიერ წიგნს მიაკერა მხოლოდ «რამდენიმე სიტყვა.» საიდანაც ვერავინ ვერას ტყობულობს სახელმძღვანელოს შესახებ. ამით ავტორმა მხოლოდ თავის-თავს და თავის შრომას დიდი ზარალი მისცა. ეხლა შეიძლება იმის წიგნს ათასის თვალთ შეხედოს კაცმა და ავიწყობინოს ავტორის ისეთი ცოდობი, რომელიც წინასიტყვაობით, იქნება, აეცილებინა. მაგრამ აქ ავტორის მეტი დამნაშავე არავინ არ არის და თითონვე გასცეს თავის-თავს პასუხი.

«დეკანდლაძის ჩვენ სკოლებში (ასე იწყოება «რამდენიმე სიტყვა»), რუსული ენის სწავლებას აწყობინებენ ან კალანდარასშილის წიგნით, და ან იმ გვარი ანბანით, როგორებიც არიან: უშინსკისა, ჰავლენკოვისა, ბუნაკოვისა, ვადაკოზოვისა და სხვა-და-სხვა. თუძცა ამ ბოლო დროს ეველას მასწავლებელს ესმის, რომ არც ერთი ზემოხსენებული წიგნი სრულებითაც არ აკმაყოფილებს თავის დანიშნულების შესაფერ მთხრობილებათა». ეს, როგორც ჰხედავთ, ლიტონი სიტყვები გახლავთ და ყოველად გაუგებარნი არიან განუმარტებლად. არათუ ეველას მასწავლებელი დარწმუნებული არის ბ. კალანდარასშილის სახელმძღვანელოს უკარგისობაში, არამედ მას ისეთი ავტორი-

ტეტი ჭყავს მომხრეთ, როგორც პატრივტემული ი. გოგებაშვილი, რომელიც იმის ცუდათ ხსენებას და მამულის დალატობას ერთმანეთში ვერ აჩქევს. აღარ გახსოვთ «უკუღმართი ნაბიჯი»! თუ კიდევ ავტორს არ უნდოდა ამასეუდ ლაპარაკი, მაშინ მათრახიც საჭირო აღარ იყო და გმაროდა ეთქვა: აი, მე შევადგინე წიგნი, ნახეთ და შეადარეთ სხვა ამ გვარს წიგნებს. ცოტა ქვეით ამბობს. «აი ამის გამო (მითამ, სხვები რომ არ ვარგოდა, იმისთვისაც) შევადგინე სახელმძღვანელო წიგნი ჩვენ სკოლებში (რომლებში?!) სახმარებლად «პირველი ნაბიჯი» რუსულის ენის შესწავლაში (ქართული ცოტა გოჭლობს). ამით ის ვა არ მინდა ვსთქვა, რომ ეს წიგნი დააკმაყოფილებს თავისი დანიშნულების ყოველ-გვარ მოთხოვნილებას (როგორ შეიძლება ეს:) და ან ეს ნამდვილი «ვარდი-სახარია» მეთქი. სწულიადაც არა! მე მხოლოდ გცდილობდი, რომ ცოტად თუ ბევრად შემემცირებინა ბავშვებისათვის «ჯოჯოხეთი» (რომელი! კიდევ ლიტონი სიტუვას) და მაშასადამე, შეძლებისა-და-გვალად დამეკმაყოფილებინა უუპირატესი პედაგოგიური მოთხოვნილებანი (რომელი «მოთხოვნილებანი!» განა შეიძლება ასეთი სიტუვების განუმარტებლობა?!) მე თითონვე ვგრძნობ, რომ ამ წიგნს ბევრი ნაკლულებანება აქვს (რას დროს ნაკლულებანებაზედ ლაპარაკია! ჯერ ღირსება უნდა ეჩვენებინა ავტორს), მაგრამ» და სხვა. შემდეგ ლაპარაკობს იმასეუდ, რომ ჩემი წიგნი რვა ნაწილად განიყოფებაო და კიდევ არა ჭხსნის, რა იყო ამის მიზეზი, რა დაედო საფუძვლად განაწილებას. წიგნი-დამაც ამას ვერ იგებთ. ორ ფურცელს გადაშლით და ახალი თავი ანუ ნაწილი იწყობა. მაშინ, როდესაც მასალა ვი ერთსა და იმავე აზრზედ, ერთსა და იმავე სისტემაზე, ერთი და იგივე კილოთი მიდის. ეს არათუკრი. ცოტა კიდევ ქვეით ამ-

ბოხს . . . მაგრამ რასაც ესტუუვით, აღარაფერს აღარ ამბობს, მხოლოდ ბ. მირიანაშვილს მადლობას-და უხდის სურათების დახატვისათვის. ეს არის მთელი წინა-სიტუაცია, ეს არის მთელი განმარტება ახალის შრომისა. როგორც ყველა ჭხედავს, აქ არავითარი აზრი არ არის გამოთქმული, ამიტომ უნდა მიუბრუნდეთ თვით წიგნს, თავიდან ბოლომდე გადაკითვას, რომ ეგება აღნიშნულის გამოცანა ავსნათ. გარდა ამისა გუჩვენეთ შესაფერი ადგილი ხალხურ-სამოსწავლო (Народно-учебной) ლიტერატურაში.

«პირველი ნაწილი «პირველის ნაბიჯისა», ამბობს ავტორი, შეიცავს ლექსიურ გასაკვეთებს, რომელთა შემწობით უმწვილი სწავლობს 120 სიტუაცს». მთელ წიგნში არსად არ არის ნახვენები, თუ რა ხილია ეს ლექსიური გასაკვეთები, როგორ უნდა იხმაროს მასწავლებელმა. არ არის არსად ნათქვამი, რომელ წელს უნდა დაიწყო ეს გასაკვეთები: პირველსავე თემის შედგომიდან სკოლაში, თუ მეორე წელს. გამოსაცნობია აგრეთვე, როგორა ჭსურს თავის წიგნის ხმარება: მას უნდა წინ-მიუძღოდეს სამშობლო ენის შესწავლა, თუ არა. თუძცა ეს არა სჩანს, მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, არ დაკვირვებთ ავტორს იმისთანა უმეცრებას, ვითომც იგი უარ ჭყოფდეს ქართულის ენის წინად შესწავლას. მაშასადამე ასე უნდა ვივარაუდოთ, რომ ბავშვი სწავლობს ჯერ ქართულს წერა-კითხვას და შემდეგ იწეობს რუსულს «პირველი ნაბიჯით». ლექსიური გასაკვეთები როდისღა იწეობა? პირველ დღიდანვე ბავშვის სკოლაში შემოსვლისა? ეჭვ, ბ. აღნიშნული, რამოდენა გამოცანებით აავსეთ თქვენი წიგნი. ბარემ შენ შრომას «გამოცანათა კრებას» უწოდებდი და გაათავებდი ადგილად საქმეს, რაღა! . . . ხუძრობა ისეც ცალკე იყოს და მკითხველს კი

უთუოდ უნდა გავაკვირდეთ, რა «კაჟია» ეს ლექსიური გასა-
 კვეთები და ამით ჩვენ მოვიხვიეთ თავზე ის საქმე, რომელიც
 მთლად ავტორის ვალი იყო. ლექსიური გასაკვეთი იმ გასა-
 კვეთსა ჰქვია, რომლითაც მოწათეს ესწავლება ლექსები, ანუ
 სიტყვები უცხოდ ენისა. მაგალითებზე, ეუბნებიან ბავშვს: დაი-
 სწავლე, შენ ეი! **Котка**—კატა, **Курица**—ჭათამი, **КОШКИ**
 —კატების და **НОВАЯ КНИГА**—ახალი წიგნია. (VIII გვერდი
 «პირველი ნაბიჯისა»). რა კავშირია ამ სიტყვების შორის? სად
 კატა და სად ჭათამი, ან **КОШКИ** და ახალი წიგნები? რამდენ-
 ნადაც ჩვენ გვახსოვს ეს მეთოდა იშვას გორში, იქვე გაიზარდა
 და იქიდანვე მოგვეკვლინა ჩვენც. გახსოვია სოფლის მასწავ-
 ლებლებთა კრება ქუთაისში და მისი ისტორია! აიქ, ამ კრება-
 ზედ შეიბა სამი სხვა-და-სხვა გვარი აზრი. დიდ-ხანს იბრძო-
 ლეს წარმომადგენლებმა ამ აზრებისამ და ბოლოს სიმ ვინით
 რომელიმაც დასძლია. საგანი შეეხებოდა იმას, თუ როდის
 უნდა იწყობოდეს სასოფლო სკოლებში რუსულის ენის სწავ-
 ლება: პირველ წლიდანვე, მეორედამ, თუ მესამედამ. მასწავ-
 ლებლების აზრი ხომ უკვლამ ვინით. ზოგიერთის აზრით რუ-
 სული ენა უნდა იწყობოდეს მეორე წლიდან, პირველი წელი
 კი მთლად სამშობლო ენას უნდა დაეთმოს და მარტო გაიხსნას
 ცოტადნად ბავშვი, ცოტადნად ჭკუა შეიკრიფოს, გაიცნოს
 სკოლა და მხოლოდ შემდეგ ამისა მეორე წელს შეიძლება შე-
 დგომას რუსულის ენისა ქ. გორის პედაგოგთა კი დაიწყო
 დალაღება პირველის წლიდანვე რუსულის ენის შესწავლის სარ-
 გებლობაზედ. კვირასში რამდენიმე გასაკვეთი პირველ წელსვე
 უნდა გაეკეთოს რუსულ ენისა. პირველს წელს რუსუ-
 ლის ენის შესწავლა უნდა ლექსიურ მეთოდით მიდი-

დესო. ამ გაკვეთილებით ბავშვი შეისწავლის საკმაო რუსულ სიტყვებსაც (აღნიშვილმა კიდევ გამოთვალა, ამის აზრით შეიძლება 120 სიტყვა შეისწავლოს), რომლებიც ჩაიურებიან საძირკვლად და მათზედ მეორე წელს ადვილად კედლებიც აიყვანება და მესამე წელს კიდევ ხომ, ბავშვი თავისუფლად ილაპარაკებს რუსულსაც. . . .

მაგრამ ჩვენთვის სულ ერთია, პირველად ვინ მოისურვას ლექსიური გასაკვეთების შემოღება, ან სად იშვას იგი: სადმე სამწერლო სადგომში თუ სასწავლო სახლში. ჩვენ გვგონია, რომ აქ საკმარისია მხოლოდ სადი მოსაწერება და უბრალო ანალიზი, . . .

ზევით ხომ გაჩვენეთ ნიმუში ლექსიური გასაკვეთებისა. იმავე გვერდზედ, ცოტა ქვეით აი წას უკვეთავს ბავშვსა: «ხერხები» — (ПИЛЫ უნდა ისწავლოს, რასაკვირველია), კრკრები (ЖЁЛУДЫ), ზეჰელები (БАНОЧКИ), ჩანგლები (ВИЛКИ)... და სხვა ამ გვარად. კაცის ტვინი, მეტადრე მესხიერება ისეა გაწყობილი, რომ, წამის დახსომება რომ გინდოდეს, უთუოდ ის უნდა შეუკავშიროს რასმე, გადაახა რამე სხვა სახელთან, ან ნივთთან. მაგალითებზე, გაიცანით უცებ კაცი, რომელიც მსწრაფლ მოგშორდათ; თქვენ თუ გინდათ, რომ მისი სახე დაიხსომოთ, უთუოდ უნდა მოითუქროთ, ვისა ჭკავს ის თქვენ ნაცნობებში. როდესაც ამ მსგავსებას იზოვნით, მაშინ, როდესაც გინდათ თქვენს უცნობს წარმოიდგენთ. ზოგჯერ ეს თქვენ უნებლიეთაც მოხდება. ზოგჯერ ისიც კმარა, რომ დაიხსომოთ, რა ალაგას შეგხვდათ უცნობი, რომ შემდეგ ამ ალაგის წარმოდგენასთან ერთად თქვენ მესხიერებაში აღდგეს უცნობის ან ნაცნობის სახე. თქვენ იცნობთ პეტრეს კარგად, შინაურულად. იმასთან

ერთხელ ჭნახეთ ივანე. შემდეგ ის ივანე გხვდებათ ბუღვარზე და სალამს გაძლევთ. თქვენ იგონებთ, ვინ არის ეს კაცი. . . ჭოჩ, აძობთ ბოლოს . . . ეს ის არის იმ დღეს პეტრესთან რომ გავიცანი. თქვენ ჭყუთილხართ კახეთში, დაგვიღიანათ. ათის წლის უკან რამე მიზნით დაიწყეთ ფიქრი ამ ღვინის ქვეყანაზე. თქვენ თვალს მამინვე წინ გამოხსატება: სიღნაღი, თელავი, კარდახი და სხვა-და-სხვა. ასეთი თვისება აქვს საგანთა ურთი-ერთ შორის კავშირს ჩვენს მესხეთში. აი, ეხლა ჩვენ ვლავარაკობთ ლექსიურ გასაკვეთებზე და ჩვენდა უნებლეთ წინ გვეხატება ბ. სემიონოვი, როგორც მომხრე ამ მეთოდისა.

ბავშვიც, თუმიცა ვატარა, მაგრამ მანც კაცია (ეს «ბუნების კარშიაც» ვი სწორია!) და იმასაც მიეწერება ის, რაც დიდებზედ ვსთქვით. განა შესაძლოა ბავშვის მესხეთში დაიტოვოს 120, 1020 სხვა-და-სხვა სიტყვები, რომელთა შორის არავითარი კავშირი არა სუფევს მის მეტი, რომ ყველა ისინი ერთის კაცის ანუ რსტატის პირით არის ნათქვამი. განა შესაძლოა დაიხსომოს ასეთი ერთი-ერთმანეთს მიუკარებელი სიტყვები: «პეპელები, ცხენები, ჩანგლები (ახა რა კავშირი აქვთ!!), მე მუავს კარგი (როგორი?) პეპელა; აი დიდი ცოცხი; მიუ დედას საცერი. სად არის ბაყაყის ჭამია?» და სხვა. თუ ერთი წინადადება მეორედამ არ გამოდის და ან არ შეადგენს მის ან ახსნას, ან გაგრძელებას, რა ნაირად უნდა დაიხსომოს ის კაცმა? იქნება ავტორმა თავი იმართლოს მით, რომ მე თუ ცალკე, შეუფერებელ სიტყვებს ერთად ვწერ, იმისთვის ვი არა, რომ მარტო იმათი სახელები იყვნენ შესწავლილნი; არა. მე მინდა რომ ყოველ სიტყვაზე, ყოველ არსებით სახელზე მასწავლებელმა მთელი საუბარი შეადგინოს. ესეც არ

შეიძლება. მაშინ გამოვა 120 სიტყვა კი არა, ყოველ სახელზე
 რა ათ-ათი სხვა დაუმატო, შესდგება, 1200 და მეტიც ხომ
 ახა როგორ შეიძლება სოფლის სკოლის ბავშვმა იცოდეს.
 თქვენ იცით, რომ მთელი ჩვენი საუბარი, მთელ ას ტომიან
 თხზულებათა ენა, შესდგება მცირედი სიტყვების გამო-
 რებიდამ, ასე რომ სიტყვების რიცხვი მთელი ენისა სულ
 რამდენსამე ათასს შეადგენს. 1200 ცალკე სიტყვა რუ-
 სის ბავშვსაც არ ეჩნება. მაშ გინაროდეთ! თქვენი ლექსიური,
 ანუ ჰეპელური მეთოდით კი ქართული შავი რდი ერთ წელს
 მოიზოვებს. მკითხველს ნუ ეთავილება, თუ ჩვენ «ლექსიურის»
 მაგივრათ ქვევით «ჰეპელურს» ვინძარებთ. ეს არც დატინვაა და
 არც სუძრობა. ამას თავის საბუთი აქვს. მართლაც და თქვენ
 რომ შეგხვდეთ აღნიშვილის წიგნით ნასწავლი ბავშვი და ჰკი-
 თხეთ: რუსული იცო, ის მოგიგებთ: როგორ არ ვიცი,
 120 სიტყვა ვიციო. შემდეგ რა ჰკითხეთ: რამდენი წლისა
 ხარ, ქაჯან, ან შენი გვარი რა არის, ან სთხოვო გადაგიტა-
 რგმნოს რუსულად რამე პატარა სტატია «დედა-ენიდამ», ის,
 რასაკვირველია, ვერ იზამს ამას, რადგან წიგნი ამის ღონეს
 არ აძლევს. ამის შემდეგ თქვენ განცვიფრებული ჰკითხავთ:
 მაინც ახა სთქვი, რა იცო. ის, თუ საწყალის მესხიერებაშ შე-
 სძლო, რასაც ჩვენ უარ ვუყოთ, ჩამოგიტოვლით ყოვლად უ-
 მნიშვნელოდ და გაუგებრად: **ВИЛКИ, ЖЁЛУДЫ, ЛОШАДИ,
 ПИЛЫ, НОВАЯ КНИГА, ДАЙ МАТЕРИ СПТО, НОВЫЙ, СТА-
 РЫЙ, ЛЕЖИТЬ, КОШКА, КУРИЦА... БАБОЧКИ, ПАЛКИ...**
 აქ რა შესჩერეთ და ჰკითხეთ: «პალკა» რა არის, ქაჯან,
 ქართულად, ის მოგიგებთ: ჰეპელები. ან რატომაც არ მოგი-
 გებთ, რა დაუძლის? 120 სიტყვაში ვინ არ აირევა, რომელი
 რასა ჰნიშნავს . . . «საწყალი ბავშვი», თქვენ იტყვი, «ჰე-

ზელები შესდომის თავში!» — აი, კიდევ აქედამ წარმოსდგება თვით ტერმინიც.

კმარა ლექსიურ გასაკვეთებზედ ლაზარაკი. ეხლა, კგონებთ, მკითხველი წარმოიდგენს, რა ნაირნი არიან ეს გასაკვეთები, ვინ შემოიღო წიგნი და რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ. ნათქვამს ის გარემოება-ღა უნდა დაკავსებინათ, რომ არც კალანდარაშვილის, არც მარგოსი, არც გრიგორიუკისა, არც ერთი უცხო ენის შესასწავლი წიგნი, რომლებიც კი არსებობენ, არ არიან ამ მეთოდზედ შედგენილი. ამის შემდეგ მივანდობთვით მასწავლებლებს თავიანთი ზირუთუნელი დასკვნა უძღვნან ავტორს ამ რეფორმისთვის სახელმძღვანელო წიგნიში.

«ზეზელური» გასაკვეთების შემდეგ იწყობა სურათებით შემკული ანბანის გასაკვეთები. მართლაც, ამასზედ ადრე ოთხ გვერდზედ არის გადმობეჭდილი გერბახის «წერის მოწინავე სავარჯიშოები» (упражненія, предшествующія письму), რომელზედაც ლაზარაკი არა ღიწს.

ჩვენ დავიწყეთ შედარების მეთოდით და გვსურს ბოლომდის გავუკეთ ამას, რადგან ამ მეთოდით უფრო მალე იზრდება ხელმე სიტყუეც და ჭეშმარიტებაც.

ანბანის გასაკვეთები სურათებით შედარებით კალანდარაშვილის წიგნთან ახალი საქმეა და ამიტომ საჭიროა ამასზედ შეჩერდეს კრიტიკა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთ უცხო ენის შესასწავლ წიგნიში სურათები არ არის შემოღებული. ამას თავისი საფუძველი აქვს. როდესაც სახელმძღვანელო წიგნი სამშობლო ენაზეა შედგენილი, მაშინ, თუ სურათების მოყვარეც ბრძანდებით, დახატეთ რაერთიც გინდათ, სარგებლობის მეტი აქედამ სხვა არა გამოვა რა. მართლაც და ბავშვი ჭხედავს სურათს, იცის სახელები დახატულის საგნებისა, მოგიუებათ

და გაიძობოთ, რასაც კი სურათი წარმოადგენს. თქვენ მხოლოდ ხანდისხან დაეხმარეთ კითხვებით, ხანდისხან უშველეთ. მაგალითებზე, გამოსატყულის ფანჯარა (როგორც «პირველ ნაბიჯშია»), ემაწვილი თქვენ აქ გეტყვით არა თუ საგნის სახელს, არამედ მთელ მოთხრობას ფანჯარაზე: რა არის ფანჯარა, რისთვის აკეთებენ მას, ვინ აკეთებს, რამდენი ნაწილიდამ შესდგება, როგორ კეთდება და სხვა-და-სხვა. მაგრამ სულ სხვა ნაირია და სხვა მნიშვნელობა აქვს სურათს უცხო ენის შესასწავლს წიგნში. აქ ეს უკანასკნელი სულ მეტია. ბავშვმა ბევრი რამ იცის სურათზე, მაგრამ რა! ეს ცოდნა სამშობლო ენაზე და უცხო ენას რას არგებს! სურათს ანბანში აი რა მნიშვნელობა აქვს: ბავშვი ჭხედავს დახატულ ფანჯარას, მაშინვე ჭფიჭობს: აა, ალბათ მას ქვეშ სიტყვაც წაიკითხება ასე: ფან-ჯა-რა: რუსულად ბავშვმა არ იცის, რა ჭჭიან ფანჯარას, მაშასადამე იკარგება მთლად სურათების მნიშვნელობა. ეს ასეა ყოველთვის, თორემ განა დიდ საქმეს შეადგენდა მარგოს წიგნის სურათებით შეწყობა, ან გალანდარაშვილის სასკოლმძღვანელოსი?

მეორე გარემოებაც. როდესაც ბავშვმა სამშობლო ენა ისწავლა და პირ-და-პირ გეტყვით, ყოველი სიტყვა, რამდენი მარცვლიდამ, რამდენი ხმიდამ და რამდენი ასოდამ შესდგება, მაშინ განა ცარიელ ყბედობას და დროს დაკარგვას არ შეადგენს ასეთი სავარჯიშოები: **ОКНО**—გამოსატყული, **ОКН**—დაწერილი, **ОКНО-ც** დაწერილი, **НО**, **ОНО**, **ОКНО**—კიდევ დაბეჭდილი. რისთვის არის საჭირო ყველა ეს ახიკებული მოგონებანი? კაცმა იცის ლექსი «**ОКНО**» რამდენი ხმისგან და რამდენი ასოდგან შესდგება, აიღე და პირ-და-პირ ასწავლე თვითოეული ასოს გამოსატყვა; რა საჭირო-ღაა აქ ცრუ-ფილოსოფი-

სადა? აი ამ მიზეზით იწყება კალანდაჩაშვილის წიგნი პირ-და-პირ ასრუბის ჩამოთვლით და სურათები, როგორც მეტი და უმნიშვნელო ბარგი, განდევნილია. შეიძლება ყველა ასრუბი ერთად ასწავლოთ. შეიძლება ასრუბი შესწავლაში თუნდა «დედა-ენის» მეთოდს მიჰყუთ, მაგრამ მაინც ამ შემთხვევაშიაც სურათები მეტია. აიღეთ თუნდა სურათი «ბაყაყის - ყლახია» (გვერდი 9). ბავშვმა შეიძლება იცოდეს მისი სახელი ქართულად. მაგრამ მის სამწიხაროდ ქვეშ «ცაზლია» უწერია. ერთეულად რომ ამას «ცაზლია» ჰქვიანო და მაინც რა გამოვა. განსურათს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ვადა მისი სახელი იცოდეს?

მის შემდეგ, როდესაც ამ გამოუსადეგარს მასალას გადაათვალიერებთ, რომელიც 15 ფურცელზეა გაბრტყელებული, შეჭხვდებით თვით საკითხავ წიგნსაც. ეს ნაწილი მხოლოდ ათი ფურცლით აღემატება «ანბან-ფილესოფიას». წიგნის უმთავრესი ნაწილი, რასაკვირველია, ეს უკანასკნელია. ამ ნაწილიდან უკვე რამე სრულს, მთლიანს, სისტემატიურად დაწყობილს, აქ ეძებთ გამოცანის ახსნას, თქვენი ყურადღებაც ამ ნაწილს აკვირდება და პირ გამშრალი რჩება ვადა, როდესაც ჰხედავს, რომ ეს არა-ფურს ახალს არ წარმოადგენს. არ წარმოადგენს არც მეთოდით. არც სისტემით, არც მასალის ხელგონურად შეჩვენებით და ძველს და დაბეზულს კი ბევრს ნახავთ. ჰგონობთ, რომ ავტორს თავისი გამოცდილება, თავისი რწმუნება, თავისი მომზადება სულ პირველ ნაწილისთვის შეუღებია და მეორე, უფრო მნიშვნელოვან და სასარგებლო ნაწილისთვის აღარა დაჰრჩენია რა. რომ ვსთქვათ, რომ აქ ავტორს შამოუკრეოთ მხოლოდ სხვა-და-სხვა სახელმძღვანელოები და ხელ-და-ხელ ამოუწერია

საიღამაც რა მოსწონებია, ან მოჭსურებია, დიდ შეცდომასში არ შევალთ. საზოგადოდ ამ შრომას აჩქარება ეტყობა. ყველა ამაებს კიდევ შეურიგდებოდით, მაგრამ წარმოადგინეთ ავთომოფის მდგომარეობა, რომელსაც მოსწყინდა ქინა-ქინის სმა, რომელიც დაწმუნდება, რომ ეს წამალი მას გერ-კი არჩენს და პირს კი უშხამავს. ეს უძლური ესვეწება ყველას—შეიბრალონ, სხვა საშუალება სცადონ, სხვა წამალი დააღუკინონ. ამ დროს გამოდის მაცდური ეჭმი, იღებს იმავე ქინა-ქინას, მხოლოდ ახვევს აბებად და ეუბნება პაციენტს: აი მე სხვა წამალი მოვიტანე, ჩაუღაპე და თვესე წამოხტებიან. რასაკვირველია, უძლური სინარულით (იქნება კი ეჭვი შეიტანოს, თუ დიდი ხანია ავად არი, ბევრი ეჭიმები იცვალა და მასსადამე გამოცდილება არ აკლია) მიიღებს წამალს, იმედიც მიეცემა გამობრუნებისა, მაგრამ ეს კომედია სულ მუჭოდ კი ჩაივლის. ქინა-ქინავე, მიღებული მხოლოდ სხვა სახით, შეკლით კი გერას უშველის და იქნება მუცელში მანკა კი გაუჩინოს. მაცდურ მკურნალად იხატება ჩვენ თვალ-წინ ბ. აღნიაშვილი და აბებად მისი «პირველი ნაბიჯი». ავად-მყოფად—ქართული სკოლა. კალანდაწაშვილის წიგნის უვარგისობას თითქმის ყოველი მასწავლებელი ჰგონობსო (უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენც ერთხანს ამ მუხლში ავტორს და იქნება რომდისმე იმასაც გადავავლოთ თვალი), ამბობს აღნიაშვილი, მაგრამ, რა მდგომარეობაში ჩადგება ახალ-გაზდა ავტორი, რომ ავთომოფის უთხრას: თქვენი წამალიც იგივეა, მხოლოდ აბებად გაგისვევით და მასსადამე უფრო გაგიძნელებით მისი ზედ მოქმედება კაცის სტომაქზე.

მიმინდვია მასწავლებლისათვის, რომელთაც შემთხვევა მისცემთ აღნიაშვილის წიგნის ხმარებას, გაატარონ

უფრო გრძელი ანალოგია ამ რს სახელმძღვანელოთა შორის. ხეივანი გი გუბუნებთ მკითხველს უფრო შესამჩნევს ერთგვარობასა გადაშალეთ რჩივე წიგნები; ერთი იწყობს: Я—მე, ТЫ—შენ, учитель—მასწავლებელი, ученикъ მოსწავლე; მეორე: СПИТЬ—სძინავს, Взяла—აიღო, дала—მისცა, помни—დაიხსოვ. მე და სხვა და სხვა ამ გვარადვე. ჭკადვით განსხვავებას? რასაკვირველია, ვერა. ერთი მესტვირულად ჩამოსთვლის ანუ ბოთს სახელებს, მეორე იმავე რიგზე ზმნებს. ამის შემდეგ ერთი იწყობს ასეთს ფრაზოლოგიას: Я учусь и занимаюсь, учитель здѣсь, а не тамъ. . . . მეორე: Катя знала урокъ, Маша взяла книгу и дала мнѣ. Помни это. Я былъ дома. Кто рветъ бумагу. Собака лаетъ и вора пугаетъ. ჭკადვით აქ განსხვავებას? რასაკვირველია, ვერა. როგორც პირველია გონების დამამახინჯებელი, ისე მეორე. როგორც პირველში შეუგნებლად სწავლობს ბავშვი ცარიელ სიტყვებს და იქიდან არა აზრი არ გამოდის, ისე მეორეში. როგორც პირველი ავტორი იხებს უმეცრებას პუდაგოგიაში და იმდენ დასწავლილ ფრაზებიდან არ ადგენს ერთ ცხრილ მკითხრებას, რომ ბავშვები გააცოცხლოს ცხრილის სიტყვით, სწორედ იგრევე იქცევა მეორეც, მაგრამ რაც უპასურობა პირველს, ის არ უპასურობს მეორეს. და ეს გარემოება გამოუთქმელად გვაძულებს აღნიშვილის წიგნაკს, მით უმეტეს, რომ უკანასკნელი უარს ჭეოფს პირველს, დასცინის მას. კალანდაწაშვილი იწყობს მეორე გვერდიდგანვე შემოკლებულ თეორეოტიკულ გრამმატიკას, და მით აძლევს სარკეს თავის დროის მიმართულებას დიდაქტიკაში (გრამმატიკულს); აღნიშვილიც მეორე გვერდიდგანვე იწყობს გრამმატიკას, მხოლოდ გესმით? . . . პრაქტიკულს! პირველი ეუბნება მოწაფეს: და-

ისწავლე собака—«მხოლოდობითი რიცხვია, «მრავლობითი» იქნება — собаки. 'მეორე ეუბნება: რაღა ერთ «სობაკაზე» ჭლანდაკობდე, სთქვი: собака და ბეკრზე—собаки. რა-გორც ჭხედავთ აღნიშვილმა მხოლოდ რჩი სიტყვა დააკლო და ნუ თუ ამით სკოლას უშველს რამე. თუ გი შესაძლოა ყოვლად უნიადგოდ შეესწავლოს ყრმას 120 სიტყვა, რა ძნელია რჩის სიტყვის დახსომება? ავი მოგახსენეთ იგივე ქინა-ქინაა მეთქი! ან სხვა მაგალითი. კალანდარასვილი ეუბნება შაგირდს: ზმნა «дѣлать» წარსულის დროის გამოსახატად ითქმის «дѣлалъ», აწმყოში—«дѣлаю» და სხვა. აღნიშვილი ჩამოუთვლის: дѣ-лаю, дѣлалъ, дѣлала, дѣлали (გვ. 38). ეს რა არი? რაგორ უნდა აუხსნას ყმაწვილს? ისე იგივე «დროს» მნი-შვნელობა არ უნდა განუძარტოთ? მაშ იგივე კალანდარასვილის წიგნი არ გამოვა! «პირველ ნაბიჯში», თუძცა ცუდათ შერხეუ-ლი, მაგრამ ადვილი საკითხი სტატეები მოიხილება. იგივე არის კალანდარასვილის ახლად-გამოცემულ წიგნში. ი. გოგუ-ბასვილმა, თუძცა ბეკრი ქება-დიდებათ იცოდა ხოლმე ამ წიგ-ნის გამოცემა, მაგრამ ბოლოს საჭიროდ დაინახა, რომ მკვდრისთვის ცოტა სიცოცხლე მიუცა და ჩაუმატა ის, რაც მართლად და აკლდა .

სხვას აღარცა რას შეიცავს აღნიშვილის შრომა და აღარც შესადარებელი-და გვაქვს რამე. გაგისენოთ მხოლოდ ის-და, რომ «პირველ ნაბიჯში» თითქმის ყოველ ბეკრზედ შეგზუ-დებათ ისეთი საკარჯიშოები, რომლებიც ყოვლად გაუგებარნი არიან და რომელთა გვარი არსად არ შეგვხვდრია. მაგალი-თებრ, რისთვის არის, რას ნიშნავს ეს ლექსები: гордился, го-рдится, гордость (ნეტავი გვაჩვენა, რაგორ აუხსნის ავ-ტორი ამისთანა ურომელო სახელს თავის მოწაფეთა), гор-

дый, гордо; ломать, ломается, выломали, сломали, поломать და სხვა (გვ. 67). როგორ უნდა შეისწავლოს ეს ბავშვმა, უნდა აესხნა ავტორს. უამისოდ ჩვენ, როგორც აღვიარეთ, არ გვესმის მათი მნიშვნელობა და ვერცა რას ვიტყვით მასზედ. მაგრამ რაც უნდა იყოს ეს გამომცანაც, მაინც ჩვენ აზრს ვერ შესცვლის საზოგადოთ შესახებ წიგნის უფერულობისა და, ნათქვამის შემდეგ უადგილო არ იქნება რომ ვსთქვათ, «უხეირობისაცა». ყელა ჩვენ ნათქვამს «პირველი ნაბიჯის» გამო, რომ ბოლო შეუკრიფეთ და თრიალუ სიტყვით გამომვსთქვათ, აი რა გამოვა. მთელი წიგნი იყოფა რვათ ვი არა, როგორც ავტორი გვარწმუნებს, სამ ნაწილად. პირველი ნაწილი—აქსიური გასაკვეთები, რომლებსაც ჩვენ უარგებყოფთ და მიგვაჩნია მავნებელად და არა სასარგებლოდ. იგი ჩვენის აზრით, სწავლების მაგიერ, გამომხეჩეტებს უსუსურ ქმნილებას. მეორე—ანბანი სურათებით, გადაღებული 30 გვერდზედ, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია დროს დაკარგვით და წელის ნაყვით. მესამე—თვითონ წიგნი, რომელიც ჩვენის აზრით გალანდარაშვილის დამახინჯებული გამოცრებაა და ამიტომ ძალიან დასაწუნარიც. ადგილი «პირველი ნაბიჯისა» სკოლა ვი არ არის და, იქნება, სხვა ალაგი ვი იყოს. . . .

მალაროელი გლეხი.

პოლიტიკის ეთნოლოგია

ამ უამად მრთელის ევროპის საზოგადოება აშოოთებუ-
ლია იმ გვარად, თითქოს რძიანობას, დიდს რძიანობას მრე-
ლოდდეს, რმელშიაც ბევრი სახელმწიფო მიიღებს მონაწილე-
ობასაო. ესლავი იმის მოსაზრებაში არიან, ამ შებმაში რმელ
მხარეზე რმელი სახელმწიფო იქნება. ერთგუნ რმე გვრძიანია,
ავსტრია და იტალიას ვაკშირი აქვს შეკრული და იმის მოზირ-
და-ზირეთ რუსეთის და საფრანგეთის ვაკშირი მოხდება, ამ რმთა
მხარეს ვიდევ რმელი სახელმწიფო დაიჭერსო? ინგლისი და
რძმალითი მიიღებენ მონაწილეობას თუ არა, და თუ მიიღებენ
ვის მიემხრობიანო?

ამ გვარი მსჯელობა ჩვეულებრივი საჭმეს ვაზეთებისა,
რმდესაც შესანიშნავი დაახლოება ანუ უსიამოვნება ხდება რმ-
მელთამე სახელმწიფოთა შორის. რძის ფათურავი ყოველის
ხალხისთვის მეტად საგრძნობელია, მეტად საზიანოა და ყო-
ველთვის მისი მოახლოება ყოველს საზოგადოებას აღეგებს;
ვაზეთების აშოოთებული ლაზარავი ვასაკვირველი არ არის,
მეტადრე თუ მართლაც შესამჩნევი ამბავი ხდება სადმე.

ამ უამად ვი მართლაც რმე შესამჩნევი ამბავი მოხდა არა
თუ ევროპის ერთს ვუთხეში, არამედ რამდენსამე მხარეს. ამ
ვაზათხუფს გვრძიანია და ავსტრო-გუნგრიას შეეგავშირა იტა-

აია. იტალიის დაკავშირება მომართული იყო გერმანიის მინისტრის ბისმარკის რეტორიკით საფრანგეთის წინააღმდეგ. ამას წინაღ საფრანგეთმა გამოაჩინა თავისი სურვილი ჩრდილოეთ აფრიკაში ბატონობისა და თუნისში თქვი შესდგა. რადგანაც იტალიასაც ამ გვარად ბატონობის სურვილი ჰქონდა აფრიკაში, რამ ხმელთა შუა ზღვაში შესამჩნევი ადგილი დაეჭირა, ამის გამო შეტევა უნდა მოსვლოდა საფრანგეთთან. ეს ცილობა გერმანიას თავის სასარგებლოდ შექმლო მოეხმარა იტალიასთან დაახლოებისათვის, და შეეკავშირა რამ მომავალში საფრანგეთთან რძის დროს თან ჰყოლოდა მომხრეთა. ეს სამთა სახელმწიფოთა კავშირი, ამისთვის შესდგა, რამ ევროპაში მკვიდრი მშვიდობიანობა დამყარდეს, ხშირად ლაპარაკობენ დიპლომატები და მათი გაზეთები. ეს იმას ნიშნავს, რამ რაც ხვენ სამთა დასვენით ჩაკიდინოთ, ხმა აჩვენ ამოდოლოთ; მშვიდობიანათ იყავით. ნამდვილად კი ეს კავშირი, რეგულარულ ვითარებათ, ერთის მხრით საფრანგეთის საწინააღმდეგოდ მოეწყო, თუ ვინცობას მას მოესურვებინა წაერთმეულის პრინციპების, აფხას-ლოტარინგიის, დასაბრუნებლად რამ აუტენსა. მეორეს მხრით ეს კავშირი რუსეთის საწინააღმდეგოდ იყო, თუ ვინცობას იგი გადაეღობებოდა ავსტრიის ძივლობობას ბალკანის სამეფოებზე.

გერმანიის სარგებლობა მოითხოვს, რამ ავსტრიას დიდი საქმეები გაუჩინოს მის მოსამზღვრე სამხრეთ რუმინიაში და სლოვენების სამთავროებში; სანამდისინ ეს წკრილი სამეფოები, სერბია, რუმინია, ბოლგარია და სხვანი არ გაძლიერებულან და კავშირი არ შეუდგენიათ, იქ თანთა ადგილი დაუთმოს ავსტრიასა და სამუდამოდ საზრუნველი გაუნადოს თუნის შემოვრება, და გერმანიაში უფლებების ფიქრი დააკარგონოს. ამ

გვარად ბისმარკის აზრია, ავსტრიის სლოვენების სახელმწიფოდ გარდააქციოს, რომ რუსეთს არ დაატყვებინოს მრთელი სლოვენების ხალხები. ნემენცების აზრით თუ მრთლად, სლოვენები შეერთდნენ ერთს სახელმწიფოდ რუსეთის წინამძღვრობით, გერმანიის ძლიერებას შემუსრვენ. წოდესაც ორად გაყოფილნი იქნებიან სლოვენები რუსეთისა და ავსტრიის ხელქვეით, მაშინ ამ ორთ სახელმწიფოთ ერთმანეთში საცილობელი არ მოაკლდებათ, სხვისთვის ვერ მოიხლან და მასთანადვე გერმანიის ძლიერება შეურყეველად დარჩება.

სამთა სახელმწიფოთა კავშირის შემდეგ მართლა ავსტრიის მეტს მეტადინებებს შეუდგა სლოვენების სამთავრობოებში გაბატონებისათვის. პირველი ნაბიჯი მისი ვითამც საკატროსაქმეებს შეესება და ამის გამომავსტრია რკინის გზების გაყვანას და ღუნაიაზედ გემების სიარულის საქმეს შეუდგა. ამისათვის პირლობით უნდა შეჭკვროდა სერბიას, ბოლგარიას და რუმინიას. ბოსნიას და ჰერცეგოვინას ხომ ხელში უჭირავს და უჭირავს. ამ რკინის გზის გაყვანისათვის პირლობის შეკვრისა და დაახლოებისათვის, ყოველი ღონე იხმარა და აგერ სერბიის, რუმინიის და ბოლგარიის მეფეებმა და მინისტრებმა დაიწყეს კენაში და ბერლინში სიარული. ამ მისკლას-მოსკლამ ისე დაახლოვა ავსტრიასთან ეს სამთავრობოები, რომ მისნი მმართველობანი და მინისტრები ავსტრიას დაუმორჩილდა. შესანიშნავია ის გარემოება, რომ რუსეთისაგან ახლად განთავისუფლებული ბოლგარია ოთხასის წლის ოსმალეს მონობისაგან, აქამოდვე რუსეთის გამგონი, დღეს რუსეთს გადაუდგა. ბოლგარიის მთავარმა ავსტრიის მორჩილებით, ისეთი ცუდილებანი მოახდინა, რომელზედაც არც რუსეთის მმართველობასთან რჩევა ჰქონია, წოგორც წინათ, და არც რუსეთისაგან

მიხეილ მინისტრებთან. ისტორიაში სახელმწიფო საქმეების მართვა და მსჯელობა ძალიან ხშირად წარმოგვიდგენს იმ გვარ ამბავს, რომ გუშინდელს მეგობარს და მომხრეს, დღეს ხალხი, ანუ სახელმწიფო მტრად ექცევა; ძართალია ეს ამბავი, მაგრამ ბოლგარების მთავარი და ბოლგარების ხალხი თუ ასე ძალე ამისთანა ვითამ უმადურობას გამოიჩენდა, ეს არავისგან მოსალოდნელი არ იყო.

რათა თქმა უნდა რომ რუსეთის გაზრთებს და საზოგადოებას ბოლგარების ამ გვარი საქციელი ააღაზარებდა და უუარადლებას მიექცევიდა. ცხადი იყო, რომელი ოსტატის სული მუშაობდა ამ საქმეში და ამის გამო რუსულის და ნეპეტურის გაზრთების ომი შეიქმნა. მიზეზები კიდევ სხვადა იყო: რადგანაც აშკარა იყო, რომ ევროპაში დიდნი სახელმწიფონი ორს დიდ ბანაკად განიყოებიან, და იმისთანა ბანაკებადაც, რომელნიც ძალ-ღონით და იარაღით თითქმის ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან, ამიტომაც ფრთხილმა ბისმარკმა დაუწყო უუარადლების მიქცევა წვირელ სახელმწიფოებს და იმათი გადაბირება მოისურვა თავისაკენ. ეგურკურება საბერძნეთს, ბელგიას, გოლანდიას და ესპანიას. მაგრამ ბელგია და გოლანდია როგორღაც შორს დგანან და უფრო თითქოს საფრანგეთის მხარე უჭირავთ; საბერძნეთი თითქო მიემხრო. რუმინია, სერბია და ბოლგარია სომ ჩაითრია და ჩაითრია.

ესპანიის მეფეც კი აშკარად გაემგზავრა გერმანიაში და, როგორც ისმის, ისიც სამთა კავშირს მიეკრძა. ეს ამბავიც საფრანგეთის წინააღმდეგია, რადგანაც ესპანიის მისი მოსაზღვრეა და ომიანობა თუ მოუხდა საფრანგეთს, ესპანიის მხრისაკენ, ესე იგი, სამხრეთ საზღვრების დასაცველად ჯარების დაყენება მოუხდება. ეს შემთხვევა, რასაკვირველია, ფრანციულებს არ

იამათ და როდესაც მეფე აფთონსმა ესპანიაში დაბრუნებისას
 ჰარეყზე გამოიარა, ქუჩებში სტვენა და გიყინის ცემა აუტუ-
 ხეს. ახლა ეს შეურაცხება შეიქმნა კიდევ მიზეზი უსამართლო-
 ბისა საფრანგეთის და ესპანიის მმართველობათა შორის და
 რუსაკუ სახელმწიფოში მინისტრების გამოსვლისა. ამ გარე-
 ძობებამ ააღაზარა საფრანგეთის საზოგადოება და გაზეთები.

ამისთანა მდგომარეობაში ყველას ყურადღება მიქცეულა
 გერმანიაზე, საკუთრად ბისმარკზე და ყველას გამოცნობა სურს,
 რას უნდა ნიშნავდეს ამ გვარი მისგან-მოსვლა მეფეებისა გერ-
 მანიაში და ავსტრიაში და ამ გვარი გურგური ბისმარკისა წვრილ
 სახელმწიფოსთან? რას აზიარებს ბისმარკი, ვის წინააღმდეგ იტყვის
 რძის თადარიგსა და საიღამ აზიარებს დაწეებს? ევროპის საზოგა-
 დოების აზრით ეს კაკშირი და დაახლოება ავსტრო-გენერალსთან
 ევროპის სახელმწიფოებს, რეგორც წინაღ ვსთქვით, ჰყოფს რ
 ბანაკად: ერთკენ რუსეთი და საფრანგეთი ერთად და მეორესკენ
 ავსტრო-გერმანია იტალიით და ესპანიით. ესე განყოფა ევრო-
 პისა სრული არ ჰგონიათ ევროპის გაზეთებს და ინგლისის
 და რსმალოს განზრახვასაც ცდილობენ გამოცნონ: ამის ასა-
 ხსნელი გარემოებაც აგერ გაუჩნდა ევროპის პოლიტიკურ
 მსჯელობასა.

ენკენისთვეში ჩვენი ხელმწიფე იმპერატორი დანიაში
 ბრძანდებოდა თავის სიძამრთან, დანიის მეფესთან; ამ დროს
 ინგლისის პირველი მინისტრი გლადსტონიც დანიაში მივიდა.
 რუსთ ხელმწიფემ იხება მის სომალდში მისგან და ისაუბრა. ამ
 გარემოებიდამ გაზეთებმა დაასკვნეს, რომ დანია და ინგლისიც
 რუსეთის და საფრანგეთის მხარეს იტყვის; ჯერ-ჯერობით არა-
 თუკი არა სჩანს-რა გადაწყვეტით, ინგლისი რამეჯს მხარეს
 დაიტყოს, მაგრამ შეუძლებელი საქმე არ იქნება, რომ რუსეთის

და საფრანგეთის მხარე დაიჭიროს, ინგლისს ხმელთა შუა ზღვის პირებზე და ევროპის და აზიის ოსმალეთში დიდი ვაჭრობა აქვს; ავსტრიის გაძლიერება ბალკანის სამთავროებში გაავრცელებს ავსტრიის ვაჭრობასა თვით ოსმალეთში და ხმელთა შუა ზღვაში მოცილე გაუხდება. მაშასადამე ინგლისი წინააღმდეგობას ავსტრიის პოლიტიკისა და მასთან ბისმარკისადაც. ვინც ამ პოლიტიკას ეწინააღმდეგება, ინგლისი თავის სასარგებლოდ ნახავს მათ მიემხროს. ამის გამო ავსტრო-გერმანიის ვაკშირი თუ რუსეთის და საფრანგეთის წინააღმდეგ იომებს, ადვილად შეიძლება ინგლისმა რუს-ფრანცუელთა მხარე დაიჭიროს. ამას გარდა არც ბისმარკის მოპირდაპირენი უარ-ჭყუოთენ წვრილის სახელმწიფოების თავისაკენ მიმხრობის საჭიროებას. იგინი ცდილობენ ბისმარკისაგან გულ-მოკლული დანია, ბელგია და გოლანდია თავისაკენ მიიზიდონ, რადგანაც ამათ გარდა, თითქმის ყველა სხვა წვრილმა სახელმწიფომ ბისმარკისაკენ მოიტრიალა გული.

მხელი გასაჭირი მდგომარეობა ოსმალის ადგია. თუ მიემხრო ავსტრო-გერმანიას, გადაიკიდებს რუსეთსა და ინგლისსა; თუ მას უწინააღმდეგა, ავსტრიასთან მოუხდება შეჯახება. ამის გამო ოსმალეთმა არ იცის რომელ მხარეს დაუხსლოკდეს და უყუძნობს. მართალია ამ ბოლოს ხანებში ავსტრიას პირობით ეკვრის რკინის გზის გაყვანის გამო, მართალია, ჩვენი ნაცნობი მუხთარ-ოვას გერმანიისა და ავსტრიის იმყოფება და მათს გამოსარჩლებას იხვეწიებს, რომ ინგლისს გაუცროუნ თავის გამოდება ოსმალის სომხეთის შესასებ და ავსტრო-გერმანიას, ამბობენ, ჭვირდება გამოსარჩლებასა, მაგრამ მაინც-და-მაინც ოსმალის თავის დატვა უფრო რუსეთისა და ინგლისის ვაკშირს თხოულობს, ვიდრე ავსტრო-გერმანიისას, რადგანაც

ავსტრიის გაძლიერება წინააღმდეგი იქნება, როგორც რუსეთისა და ინგლისისათვის, აგრეთვე ოსმალეთისათვის.

ამისთანა სურათს გვიხატავს ევროპის ეხლანდელი ყურნალ-გაზეთობა. ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა ჭყრფის ორ ბანაკად, და თუ მოხდა ომი, ომი საშინელი უნდა მოხდესო და ყველა ძლიერი სახელმწიფო ერთ-ერთ მხარეს უნდა მოექცესო. გაზეთები უკვე ლაპარაკობენ კიდევ ავსტრიის და გერმანიის თადარიგის დაჭერას რუსეთის და საფრანგეთის საზღვრებთან: რკინის გზები უეცრად ჯარების მისაყვანად მზათა აქვთ გაყვანილებიო, ციხე-სიმაგრეები ააგესო და ჯარებსაც კი თავს უყრიანო. ამისთან მოძალად წლისათვის შემოსავალ-გასავალში სამხედრო თადარიგისათვის მომატებულს ნიშნავენო.

მაგრამ მაგარი ეს არის, რომ ნემეცური გაზეთები მეტის-მეტის თავსულობით და გაბუდვით ლაშქრობენ რუსულსა და ფრანციულ გაზეთების წინააღმდეგ. გერმანიის და ავსტრიის გაკვირვის სურვილი მშვიდობიანობააო, თქვენ კი ომიანობა გინდათო. სწორედ «საქმე დასწრებისას» რომ იტყვიან, ამასა ჭკვიან. მართალი სთქვას ერთმა გაზეთმა, «მართელი ევროპა ახლა ორ მხარედ გაყოფილა; ყოველსავე მხარეს მშვიდობიანობა სურსო. მაშ რაღა ორად გაყოფა, ბარემც ორივე მშვიდობის მსურველი მხარე ერთად შეერთდეს და ერთი დიდი გაკვირი გამართოს მშვიდობიანობის დასაცველათაო.» მართალი თუ გნებავთ, მართალიც ეს არის. მაგრამ ეს ყოველი მოსაზრება გაზეთებისა ორის მოპირდაპირე გაკვირვის შედგენის თაობაზე მხოლოდ მოსაზრებაა და ნამდვილის დასკვნა მომაკვალს ეკუთვნის.

ცხადი ერთია, რომ დიდი განსაცდელი მოკლის ევროპას; თუ ომიანობა ასტყეს გერმანიამ და ავსტრიამ, დიდი ომი

ატყდება. ჩვენს ვიგონიას, თუ ეგ რძი ასტყდა წინააღმდეგ
 რუსეთისა, ბისმარკი მარტო ავსტრიას მიუსევს რუსეთსა და
 თვითონ კი განზედ გადგება, მაგრამ ისე კი, რომ რუსეთის
 სამზღვრებზედ დიდ ჯარს დახანაკებს თავისას, რათა ამითი
 დიდ-ძალივე ჯარი რუსეთისა სადაცაჟოდ ამ სამზღვრებზედ
 უქმად შეახრებს და ამით ავსტრიულ-გენგრიას უფრო გაუადვი-
 ლოს რუსეთთან რძი. და თუ საფრანგეთის წინააღმდეგ ატყდა
 რძი, მაშინ გერმანიას თვითონ ირძებს და ავსტრიულ-გენგრიას
 და იტალიას ჰირდაპირ რძში არ ჩაერევიან. პირველი რუსე-
 თისაკე სამზღვრებზედ დიდ ძალ ჯარს დააყენებს, რომ რუ-
 სეთმა ხელი არ მიაწვდინოს საფრანგეთს სამკულადა და მეორე,
 ესე იგი, იტალიას თვითონ საფრანგეთის სამზღვრებზედ გაიყვანს
 ჯარს, რომ ამ მხრით საფრანგეთის ჯარი გამორწვიოს სადა-
 რაჟოდ და ამით საფრანგეთის ძალა შესუსტოს. ასე იქნება
 თუ ისე, ამ რძს შეუძლია მრთელი ევროპის შეწყვეტა და სა-
 მწუნარო ხაყოფის მოტანა, რომელმაც მხარემაც უნდა გაი-
 მარჯვოს. თუ გერმანიის მხარემ გაიმარჯვებ, რუსეთს და
 საფრანგეთს, რასაკვირველია, დიდს გარდასახადს გამომართმევს
 და ადგილებს მოუჭრის. ეს მრთელის კანობრიობისათვის უკუ-
 ღმარტობა იქნება და გერმანიის უამისოდან სამხედრო ბატო-
 ნობას ევროპაში უფრო გააძლიერებს. თუ გერმანიას დამარცხდა,
 მისი ხანგრძლივი ისტორიული შრომა თვისთა ერთ სისხლ
 და ერთ ხორც ხალხის შეერთებისათვის უქმად ჩაიკლის და
 დაიშლება ახლად დაფუძნებული იმპერია. ესეც უკუღმარტობა
 იქნება ევროპის წინსვლულობისათვის.

რასაკე შემთხვევაში მომავალი თქირი ამრწუნებს ყო-
 ველ პატრიოსან კანს, ვისაც კი ძვირფასად მიაჩნია ევროპის
 წინსვლულობა და ხალხთა კეთილ-დღეობა.

უკუელს ამას შემდეგ მკითხველს აზრათ ებადება, ნუ თუ ბისმარკი, გერმანიის შეერთების დიდი მოღვაწე, ასე ადვილად ბურთსავით წინ გაიგდებს გერმანიის ბუდსა?

მაგრამ იქნება ეს ალიაქოთი მხოლოდ მოსახვეწებლად მოახდინა ბისმარკმა რომ გამოსცადოს, შეიტყოს ევროპის აზრი სულ სხვა საგნის შესახებ, რასაც ჯერ ვერავინ ვერ მიმხვდა? ან იქნება გაათავა და მოჩხა კიდევ? ეს უკანასკნელი ის დამოწმდება ხომ არ არის, რომლითაც დაუმოწმილა ავსტრიას ბალკანის სამთავრობულობები??

შინაური მიმოხილვა. *)

ამას წინააღმდეგ, ბატონ-ყმობის გადაკარდნამდე, ისეთი მუუ-
დროებს სუთუკვდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ
კერავინ წარმოიდგენდა, თუ მისი შეწყვეტა რდნავ მანტ შესა-
ძლებელი ყოფილიყო. რეგორც ბურუსიანი, ღრუბლიანი,
თბილი და მშვიდი დღე, ისე იხედებოდა მაშინდელი ჩვენი
ცხოვრება .

ასეთი გახლდათ ის წარსული დრო, დრო მე-40 და 50
წელთა, დრო მიძინებისა, მშვიდობიანობისა, ჭ ჩვენის გონებისა
და მწერლობის მიბინარებისა. მაშინდელი მწერლობა ზედ-მი-
წვენილის სინამდვილით გვიხატავს მაშინდებურს ჩვენს სილა-
ტაკეს აზრისას, თუ ცხოვრებისას; მაშინდელის ჩვენის მოლა-
ლულობის, ჩვენის უღონობის უტყუარი სახსოვარია ებ
ჩვენი გონების ნაღვაწი, მტკიცედ და მედგრად სდგას მა-
შინდელი ძველი მწერლობა, რომლის ბურუსიანი, მიძინებულს
გარემო ჭავს ხანდისხან და იშვიათად დაარღვევდა ხოლმე ნ.
ბარათაშვილის შოკისა და გრ. რბუბლიანის ღრმად პოეტური
კალამი.

*) ეს «შინაური მიმოხილვა» წინა ნომრისთვის იყო დაშვადე-
ბული, მაგრამ მხოლოდ ესლა იბეჭდება შეცვლით.

მაგრამ ეს რჩევი კაცი და კიდევ რჩევი სხვანი იმ დროს არ ეკუთვნოდნენ. ესენი იყვნენ სხვა დროს აღზრდილნი, და ისე ცოტანიც, რომ მათის აზრისა და გრძნობის გაუგება მხოლოდ მდნად არღვევდა იმ დროს გარემო მუდრეობას, მხოლოდ მდნად აფხიზლებდა დაძინებულს ქართულთ გონებას.

ამ გვარის გაჭირებული დრო დადგება ხოლმე ერისათვის ხანგრძლივის და დიდის ხნის მკვლევარე ცხოვრების შემდეგ. იშვიათად მიხვედნენ ერს, რომ როდისმე მაინც ესე, ამ გვარადვე არ გასჭირებოდეს, როგორც ჩვენ ქვეყანას ზერს უჭირდა. იმ დროს როდესაც სხარსეთისაგან აღზრებული შედიოდა რუსეთის მიუღობულობაში რომ ვისმესთვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რას გსურთ, მშვიდობიან სიტუაციაზედ ვფიქრობთ, სიტუაციაზე გვინდა, გივასუხებდნენ. — გვინდა, გეტყონ, რომ მტერი არ გვაწუხებდეს, მშვიდობიანად ვიყოთ, ვატოვებდეთ, მზესა და მთვარეს შევხაროდეთ.

ერთის სიტყვით სალს და ერს მხოლოდ ხარციელის ცხოვრების ნატვრას ჰქონდა, მხოლოდ იმაზედ ვფიქრობდა, რომ სულ ასე მშვიდად ეცხოვრას და არავითარი მწუხარება არსაით არ მისდგომოდა.

ახა ამ გვარს დროს, სად და ვის მოჭკითხავდი აზრსა, გონებას, თავ-განწირულებას საქვეყნო საქმისათვის. ავი არც-არა შეინიშნებოდა რა ამ გვარის ქვეყანა მხოლოდ ლუარსაზ თათქარძეებით აივსო, რუსეთუძეებმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივის სამსახურის ასუარეზი.

აღარავის არ ახსოვდა მაშინ, რომ ამ ქვეყანას ჭყლია მხნე მუშაკნი, მხნე მებრძოლნი, ნიჭით და ქველბობით სავსენი.

დიახ, მაშინ იმ ძველ დროს, ჩვენი წინაპარნი საქმის სალხი

იყო, სამუშაო ბევრი ჰქონდათ, ბოზბაშისთვის და ჩიხიტისთვის აგრე რიგათ არა ზრუნავდნენ: არც დრო ჰქონდათ, არც შეჩვეულნი იყვნენ ამ გვარ ზრუნვას.

ყოველივე ეს აღიხრცა, ყოველივე ეს განჭქრს და რეთორების წინა დროის ქართული ძეგლებსაც უკან ჩამოაჩხა და ახალს დროსაც ვერ შეუთვისდა. ამათ დროს,

... სადღა იყო ყაზახი?

სად იყო საჯიხითო, საკარჯიშო ცხენისა...

მათთვის ყოველივე ესე დრონი შეიქმნენ სიზმრად და განჭქრენ რცხებსასვით. . . .

ეხლა ის დრო აღარ არის. ეხლა სულ სხვა გვარი ლაპარაკი ისმის, უფრო საიმედო, უფრო გამამხნეებელი არამც თუ მარტო რუსეთში, არამედ ჩვენშიაც . . .

დღეს ჩვენი დრო ბევრად უკეთესი დროა ზემოდ მოხსენებულ დროსთან შედარებით, დღეს ცხადად და უტყუარად შესამჩნევია ნიშნები ჩვენის გამომავლობისა. რეთორების წინა დრომ, იმ ჭირისა არ იყო, რომელიც ზოგჯერ მარტოელის ხელში, მოიტანა თან სხვა ნიავი, გასწმინდა ცოტად-თუ ბევრად ადრინდელი ბურუსი, გადაჭყარა ღრუბლები და ჩვენი ცნობიერება გამომავლობა

მართლაც, მოიგონეთ გრ. მარბულიანის დიდის ყოფით და ამბით დასაფლავება და ის თანაგრძნობა საზოგადოებისა, რომელითაც განიმსჭვალა იგი თითქმის ერთი კაციაო, და მერე იკითხეთ, რამ გამოიწვია ის საერთო წყნობა, თუ არ მან, რომ იგი იყო თავის მძიმელ სიტყვით მოტრფიანე, ერგონულის იდეის პოეტურად გამომხატველი, დროთა სიზმარებრ გამქრალთა, ჭირისუფალი, საქართველოს იმედით ზეშთავრებული.

ნუ თუ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ საზოგადოება უპირველეს ყოვლისა იღებს სტეპდა პატივსა, როცა ისეთის დიდის ყოფით აცდილებდა უკანასკნელს სადგურამდე თავის გულის პასუხის ძლიერად გამომხატველს პოეტს, რომ აზრს მამულის სიუკარულისას ჭრთავდა გვირგვინით, როდესაც უკავილებში ჩააწვინა ამ აზრის მტკივრობელი და მატარებელი კაცი, დაწყობილი მე-30 წლიდამ ვიდრე ჩვენ დრომდე?

ეს უეჭველია. უეჭველი შეიქნება უფრო მაშინ, როცა მოვიგონებთ ჩვენის თავ-განწირულის, პატროსანის მოღვაწის ს. მესხის გარდაცვალების ამბავს... ეს მხნე მუშაკი იყო და უცხრობელი, მუდამ საზოგადო საქმის მოუკარული, ჩუმი მოღვაწე. და აი ამ ჩუმის მოღვაწის სიკვდილის გამო თითქმის მთელს საზოგადოებას, თითქმის გული მოსწყდა.

ნუ თუ ესეც იმას არ ამტკიცებს, რომ შეგვრცხვას ბოლოს ჩვენც, მოვიდა დრო და ჩვენც გვინდა კუთვნილი და დირსეული პატივი ვცეთ ჩვენთვის მშრომელთა.

მართლა, ამ სამოც ოთხმოც წელს ისე არ გაუკლია, რომ ჩვენ ცხოვრებას ცოტათი მაინც სხვა უკეთესი ფერი არ დასდებოდეს, მაგრამ მაინც რამდენსაც უფრო მეტად გვრძნობთ უკეთესად ცხოვრების მიწყობის სურვილს და ხელ მოკლეობას ამ სურვილის განხორციელებისათვის, იმდენად უფრო მეტად ვწუხვართ.

უმაღლრობა იქნება და არც სიმაჩთლეს შეადგენს უარყოფა იმ სარგებლობისა, რომელიც მოგვიტანა ჩვენ ბატონუბობის გადავარდნამ, ახლის სამართლის წესების შემოღებამ, თვით-მართველობის დაარსებამ და სხ. და სხვ. რაც უნდა გულდროძო და ჯუღელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის, რომ ამ სამოც

ოთხმოცის წლის განმავლობაში დადგენილას მართვისა და წეს-წყობილების შედეგი არ იყოს ქართველთ ერის გაერთიანება. თუმცა ეს ყველა ასეა, მაგრამ მაინც ჩვენი მწერლობის მდგომარეობა ამით ბევრად არ შემსუბუქებულა. ოცე წელიწადი გადის, რაც ქართულის ენის წარმატებას იცავს ჩვენი უღონო აზრი და გონება, იცავს ძლიერად და თავ-განწირულად და აქნობამდე, არამც თუ სასამართლო უწყებაში,

ეს გარემოება მიგვაჩინა ჩვენ მიზნად, რომ ასე შეფერხებით მიდის ჩვენის პირველ - დაწყებითის სწავლის საქმე. ამ გარემოების ბრალის, რომ ჩვენ ვეღარა მოგვიხერხებია რა, რომ წერა კითხვას მაინც ვაკრძელებდეთ ხალხში. განა ჩვენ ვეცადეთ, რომ ერთი სახალხო სკოლა მაინც დაგვეარსებინა თუნდ ისე ჩვენგან პატრივტიულის გრ. ორბელიანის სახსოვრად, რომლის შემწეობით შესძლებიყო ხალხსაც დაეფასებინა ჩვენთვის ასე ძვირფასი პროექტი, რომ მასაც ჩვენთან ეგლოვნა მძიმე დასავლელი? ჩვენი ჭირი და გლოვა ჩვენ ჭირად და გლოვადვე დარჩა, ხალხი კი, უძრავლესობა კი ვერ მიაგნობდა ჩვენს წუხილს. ქართულის ენის და მეტყველების მოყვარულთათვის, და მის წარმატების მსურველთათვის ფრთად სასიამოვნო უნდა იყოს უწმ. სინოდის განკარგულება, რომელიც ამ წლიდამ უკვე აღსრულებაში შედის. მე მოგახსენებთ ქართულის მეტყველების გაკეთილების დაარსებაზე სასულიერო სემინარიის, სადაც იზრდებიან სამღვდელთა შვილები. ვგირავი 7 გასაკვეთია ამ საგნისათვის დანიშნული, ქართული მეტყველების პროგრამის უკვე შედგენილია სემინარიის მმართველობის მიზნობილობით ერთის სე-

მენარის მასწავლებლისაგან. ჩვენ გადავათვალიერეთ მხოლოდ
 ოდნავ ეს პროგრამა და ამიტომ ეხლა დაწერილებით აქ ვე-
 რას ვიტყვით. მას შევატყობინებთ ჩვენს მკითხველებს მხო-
 ლოდ შემდეგ წიგნში. ეხლა კი ვიტყვით მხოლოდ რომ დი-
 დი ბეჭითობა და ენერჯიას საჭირო მისთვის, ვინც ამ საგნის
 რიგინად შემუშავებს და დადგენას იტვირთებს. ამით ჩვენ გა-
 მოვაცდით ივარ-ხმალს იმათ, ვისაც არ ეპიტნაგებათ ბუნები-
 თად ამ გვარის წესების შემოღება. მე ვლავარავობ ამ უსა-
 ფუძკლოდ და იმ ტყუილ უბრალოდ გავრცელებულს ხმაზე,
 ვითომ არც ქართულ ენაზე სწავლება შეიძლება რისამე, არც
 წიგნების ამისათვის და არც არის რამე, რაც ღირდეს შესასწა-
 ვლებლად, ავარჯიშებდეს კანის გონებას და სხ. და სხ. ამ
 გვარი ცრუ მოწმუნება და უსაფუძკლო ხმები.

ამ გვარადვე სასიამოვნოა უკვე აღსრულებაში მოყვანილი
 ამ წელსვე მომხდარი განკარგულება უწმ. სინოდისა, რომ შე-
 მოღებულ იქმნას ქართულის ენის სწავლება საკლდებულოდ
 სასულიერო სასწავლებლებში, რომ საგანიც საკლდებულო იყოს
 და მისი მასწავლებელიც შტატის ადგილის მექონე. ამ გარე-
 მოების გამო სასულიერო სასწავლებლებში მოისპო პერძნულის
 ენის სწავლება და შემცირდა ლათინურისა. ეს უკანასკნელი
 უწინდებურად პირველი კლასიდან აღარ იწყობა და იმედი ვი-
 ქონიოთ ნორჩ გონებას პატარა პირველ კლასელებისას შელა-
 ვათი მიეცემა.

ამ სახით ერთ უწყებაში მაინც მიენიჭა ქართულს ენას
 უფლება, ე. ი. სასულიერო უწყებაში. ესეც კაი ღვთის წყა-
 ლობაა, ამდენის ლოდინის შემდეგ. მერე ჩვენთვის, ასე გულ-
 გატეხილთათვის ლოდინით და იმედითა.

ათასში ერთხელ უნდა მოკესწრათ სასიამოვნო ამბავის გაგონებას და ათი ათასში ერთხელ ამ ამბავის ცხროვებაში განხორციელებას და მაშინვე გამოტყუდება რამ საიდანძე და მოგვიშხამავს ის ის იყო გატაცებულს გონებას, ფრთა-შესხმულს ფანტაზიას. რეგორც ცივი წყალი ისე მოგვხვდება ხოლმე იმ დროს რამე უსიამოვნო ამბავი, აგვიჯინჭრავს ტანს და წყალში ამოვლებულს ქათმებს დაგვამსგავსებს ხოლმე.

აი რასა სწერს ქუთათურის ცხროვების მემატიანე «დროების» № 204:

«ბატონ-ყმობის მოსპობამ, ადამიანის პიროვნების აღდგინებამ, კანონის წინაშე გათანასწორობამ და იმ ჭრუმანიურმა აზრებმა, რომელნიც ამის გამო ცხროვებაში დატრიალდნენ, ღრმა ცვლილება მოახდინეს ზნესა და ჩვეულებაში; საზოგადოებრივს ზნეობას, კანონს დამოკიდებულებას რჯახში და საზოგადოებაში, საზოგადოებრივს კულტურას სულ სხვა მიმართულება მისცეს . . . ახლაც რეზგის შემოღება დიდი გმირობა არის, მაგრამ, განაგრძობს ქუთათელი ქრონიკერი ოხუნჯურის კილოთი, — იმიტომაც მომწონს რომ გმირობას ვხედავ ამშიო! . . . წინეთ რომ გაგვაწვენდნენ, გვანუგუშებდნენ: არაფერი გიშავთ, ეშმაკებს გამოგიჩვენებთ! . . . მაგრამ განა ახლაც უფრო ბევრი ეშმაკები არ არიან?! რღონდაც რომ არიან და კიდევ მათ გასარეკად შემოუღიათ რეზგი! . . .

«ამ რეზგზედ თუ ვლავარავთ იმიტომ ვი არა, რომ ლავარავის საღერელი ამშლოდეს, არამედ იმიტომ, რომ ხმა არის გაკრცელებული, ვითომც ბროწეულის წკებლები მოქმედებაში მოეყანათ 'ხოგორი' ადგილას» . . .

ძლივ-ძლიობით მივეჩვიეთ სწავლას, შევიყვარეთ სულით და გულით, ვხარჯავდით ფულს, შეძლებას, ღონეს, დავივიწყეთ სრულიად ის დრო, როდესაც პირ იქით გვაძლევდნენ ფულს, ოღონდ მოდით ისწავლეთო. ვამბობდით აი, ახლა ეშველა საქართველოსო. სწავლა და განათლება მოიფინებაო, მდიდარი ქვეყანა სწავლულთ ხელში ნატრის თვალად გადაქცევასო, ცხოვრება აღუდგებაო და დახეთ ბედს. მაგრამ ეჰ, ეს ბედი ჩვენ მუდამ თან გვდევდა. გარკვეულ რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო. რას მოვიფიქრებდით, ვინ მოიფიქრებდა. თავ-პირს ვამტკრევდით ერთმანეთს, არა ჩემი შვილი მიიღეთ, არა ჩემო, ვაკანსიები აღარ იყო და აგერ დღესაც აღარ არის და ახლა ვი ისეთი ხმები ისმის, რომ ვინ იცის რა იქნება.

სწავლა ვი რომ შევიყვარეთ ეგ უეჭველია. აი საბუთები.

ვაკანსიები წელს თბილისის სასწავლებლებში იყო შემდეგი: კადეტის გორბუსში (ესეც ვი დაკვარკეთ ბედოვლათობით) იყო 25-მდე, მსურველი ვი 120. საოსტატო ინსტიტუტში 25. მსურველი 75. მიღებულთ რიცხვში ქართველი მხოლოდ ოთხია. მეორე გიმნაზიაში მიიღეს წელს—40. მსურველი ვი იყო 150. სათავადაზნაურო სკოლაში 30, მსურველი ვი ასზე მეტი. ქუთაისში სააზნაურო სკოლაში იყო ადგილი თურქულ 60 უმაწვილისა და მსურველი ვი 200 მეტი. გიმნაზიაში და პრეგიმნაზიაში მეოთხედით არ მიუღიათ წარმოდგენილის ბავშვებისა, სამოქალაქო სამ კლასიან სასწავლებლებში, რომელიც შარშან გაუხსნიათ, თხოვნა შესულა სამ-ასზე მეტი, მიუღიათ

მხოლოდ ორმოცი. მეორე ორ-კლასიან საქალაქო სასწავლებელში თხრავს შესულა 100, მიუღიათ 75...

ამ გვარ პირობათა შორის ჩვენვე უნდა ვეცადოთ ჩვენი საქმე ცოტად თუ ბევრად იოლად წავიყვანოთ, მაგრამ რას იზამ, რომ ეს პირობანი ყოველ ხალისს გვიკარგავს, სასიკეთესს გვიკეთავს! ამ გვარ მოკლენათა შემაცქერალი, კაცია თუ საზოგადოება ძალა უნებურად გულ-ხელ დაკრეფილი დაიარება, ცხვირ ჩამოშვებული და მწარედ დაძმარებული, ის კი არა თუ ენერჯია, მხოლოდ მხნეობა და ხალისით ერთბაში მოქმედება, იქნება, დაგვიხსნიდა ამ გვარის გაჭირვებიდამ ცოტად, თუბევრად. თორემ რასა ჰგავს, ბატონო. «ივერიის» წინა წიგნის ბოლოს, დამატებაში, ჩვენ დაგებულთ წლიური ანგარიში «ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების მოქმედებისა 15 მაისიდან 1882—15 მაისამდე 1883 წ. და ღმერთო, რა გვარის გულ-გრილობის მოწამეა ეს ანგარიში. ამ ანგარიშის თავში ჰკითხულობთ თქვენ ბათუმის სკოლაზე, რომელიც კარგად და საუკეთესოდ სწავლობს, წინარების სკოლაზედ, რომელიც აგერა მეორე წელიწადია, რაც დაარსებულა. ჰკითხულობთ აგრეთვე რომ «საზოგადოებას» შემწეობა აღმოუჩენია ქუთაისის სახალხო სკოლებისათვის წიგნებით და სასწავლო ნივთებით, რომელთა ღირებულება 1,000 მანეთისაა. აგრეთვე ჰკითხულობთ რომ „საზოგადოებას“ განუმატებია თავის ხელნაწერის ბიბლიოთეკისთვის, რომელიც ამ დღეებში გაამდიდრა ბ-ნმა ივანე მესხიევმა მდიდარის და უხვის შეწირუ-

ლებით. მან შესწირა ამ «საზოგადოების» ბიბლიოთეკას 55 ხელნაწერი წიგნი, რომელთა რიცხვში ძვირფასი საარსებო-ლოგო და საისტორიო განძი ურევია. მაგრამ ჩახვალთ თუ არა უკვლავ ამ ამბის ბოლოში, იგივე წყუელი უსიამოვნო რამ ამბავი, თითქო ცივი წყლის შადრევანი დაგიშვეს თავზე, ისე გამოტყუება ხოლმე. წარმოიდგინეთ, რომ «საზოგადოებას» ჰყოლია 300 წევრამდე დამფუძნებელი და ნამდვილი და დღესაც არ შეუტანიათ თავიანთი ხკედრი საწევრო ფული, დღესაც მათზე კალად არის დარჩენილი 4953 მან. 1879, 1880 1881 ჯ 1882 წწ.

თუ ასეა „საზოგადოების“ საქმე, მაშ კერძო პირებს რა-ღა ძალა უნდა მოეთხოვებოდეთ ამ მხრივ. კერძო პირებს რაგონრდა უნდა კესაყუდუროთ, რომ იმათ ცილამ კარსკვლავები ვერ ჩამოაქვთ.

ამ მხრივ, სწორედ ჩვენის საზოგადოების უხალისობის დროს, ერთმა კერძო პირმა ხანგრძლივის მეცადინეობის შემდეგ თავის საკუთარის ხარჯით და საფასვით ჩასდგა საძირკველი ფრიად სასარგებლო დაწესებულებისა. ჩვენ ვამბობთ ბ. ი. წინამძღვარიშვილზედ და მისგან დაარსებულს სამეურნეო სკოლაზედ ს. წინამძღვარიანთ კარში.

დიდად დასათვასებელია პატივცემულის ი. წინამძღვარიშვილის ღვაწლი, სწორედ დიდათ გასაკვირველია მისი მხნეობა და გაბედულობა. უნდა მკითხველმა დაწვრილებით იცოდეს ამ მეცადინეობის ისტორია, უნდა იცოდეს რა ჯათა და შრომამ იყო საჭირო, რაგონრც მისთვის, ისე იმ კერძო პირთათვისაც, რომელნიც ეხმარებოდნენ რომ ამ სკოლის საქმე თავს მოსულიყო, რომ ღირსეულად დაათვასოს საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამ მოკლებისა. ჩვენ ძალიან იშვიათად და სრულიადაც არ გვახსოვს, რომ საზოგადო საქმისათვის ასე შე-

ძლებისა და ჯათის დაუზოგველად კერძო კაცს თავი გამოემეტებინოს. ჩვენში საზოგადო საქმისთვის თავ-გამოდებას, ქონების დაუშურველობას ბევრი ისევე სხვა თვალთ უცქერის. ჩვენ ჯერ არ შევხვედრივართ ჩვენ ცხოვრებაში არამც თუ შემძლებელ მოვარველს სახალხო განათლებისას, სკოლისას, მეცნიერებისას, არამედ ლიტერატურის და მწერლობისასაც კი.

რაც შეეხება თვით სამეურნეო სკოლის სარგებლობას ჩვენ გვარის ქვეყნის ხალხისათვის, ეს უეჭველია და აქ ჩვენ ჩვენთავად ბევრს არას ვიტყვით. დეე თვით იმან სთქვას აქ სიტყვა, ვინც ეს საქმე დაჭბადა, ხორც-შესხმულ-ჭყო — დეე ეს სარგებლობა განმარტოს იმან, ვინც დაესწრო სკოლის გურთხევის დროს.

აი სიტყვა თვით მოთავარის მზრუნველის და სკოლის დამაარსებელისა:

მოწყალენო ხელმწიფენო!

„ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი მოქმედება, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი, მართლაც რომ ეს საქმე სამძიმო საქმეა; მაგრამ ეს საქმე მე გამაბუღვინა ერთის მხრივ იმან, რომ ყოველის მამულის შვილის ვაღია შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბსა და უმეცარს ხალხსა და მეორეს მხრივ — აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკულ ცოდნის გავრცელებისამ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გზასზედ ბევრი გაჭირვება მოგველის, მაგრამ ამ გაჭირვების დაძლევა შეუძლიან საქმისათვის სიყვარულს, გულის დადებას და ენერგიას, როგორც სახალხო სკოლის ისტორია ამტკიცებს. ამ ბრძოლისათვის ერთის ან რამდენიმე პირის ძალა საკმარისი არ არის, — საჭიროა ხელის შეწყობა და თანაგრძნობა თითონ საზოგა-

დღებისა. მაშ ყველანი, ვინც კი ერთგულად ეკიდება სახალხო განათლების საქმეს, ამოუდგეთ გვერდით მეცნიერების დროშას, გაუღოთ სასწავლებლის კარი ყოველს ერსა და სარწმუნოებას, წავიდეთ წინ და მოკოფინოთ ბნელს ხალხში ნათელი ჭეშმარიტებისა.

«მოგმართავთ რა თქვენ, ჩემს ამხანაგებს, და ახლად გახსნილის სკოლის პირველ მოძღვრებს, უნდა გითხრათ, რომ თქვენ, როგორც მეცნიერების წარმომადგენელთ, შეგხვდათ სასიამოვნო, მაგრამ ძნელი, დანიშნულება. თქვენ პირველთ უნდა გაახინოთ საგურამოს ხეობაში თესლი განათლებისა, უნდა ებრძოლოთ ხალხის ცრუ-მორწმუნოებას, უნდა აღუძრათ თანაგრძნობა სახალხო განათლებისადმი და ცხადად აჩვენოთ ის სარგებლობა, რაც გამოცდილებას და მეცნიერებას ადამიანისათვის მოუტანია. თქვენზეა დამოკიდებული სკოლის მოწაფეთა ბედი და თვითონ სკოლის მოძავალი. ჩვენი სკოლა სამაგალითო იქმება მთელს კავკასიისათვის და თქვენ თქვენი სული უნდა ჩაუდგათ მას... მივანებოთ თავი თავ-მოყვარეობას და ჩუმად, აუჩქარებლად, ყველანი კემსახურით სულიერს და ნივთიერს ინტერესებს. იმ ხალხისას, რომელნიც ყოველთვის ჩვენის ზრუნვის საგანი იქნება. მაშინ სკოლის მტერნი მეგობრებად გარდაიქცევიან და ჭეშმარიტებაც აღდგება.

«დასასრულ, მოკალედ ვრაცა ჩემს თავს გამოკუცხადო ღრმა მადლობა დ. ს—ძეს სტაროსელისკის ამ სკოლისადმი თანაგრძნობისათვის და აგრეთვე იმ პირთა, რომელნიც ამ სკოლისათვის სზუნავდენ. იმედი ვიქონიოთ, რომ დიმიტრი სვიმონის-ძე მაიღებს ამ სკოლას თავის მოვარულობის ქვეშ.

«ეს ჩვენი პირველი ნაბიჯი იყო ნიშნად სკოლის ბედნიერის მოძავლისა!»

აი თვით ის სიტყვაც, ი. ჭკუჭკუაძისა გლეხობისადმი მიმართული.

«ერთი თრიოდუ სიტყვა მეც მინდა გითხრათ და ყური რომ მათხროთ, მადლობელი ვიქნები.

«ღმერთმა რომ ჭკუყანა გაახინა, დედა-მიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, უაქველი სიძლიდრე ჩაუღვას და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიძლიდრე დედა-მიწის გულადამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

«თქვენში და თქვენგან ხშირად გადიგონია, რომ ქრისტი-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს ჰატარა ჭკუყანაში დაიბლერტაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ჭკუყანა ბევრს სხვა ჭკუყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თითონ ვართ უხვირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-მარჯვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს უკუაფერი გვაქვს. ეს მდიდარი ჰატარძალსაგით მართული ჭკუყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯული და ოფლის მღვრელი — მას რაღადა ვართ ღარიბნიო? — მკითხავთ თქვენ.

«იმიტომ რომ არ ვიცით სად რა სიძლიდრე ჭსძევს, სად რა განძია. არ ვიცით საიღამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯათვაც ადვილი იყოს და ნაჯათუკიც ბლომად. ავი ვამბობ, უკუაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ, ისა, რაც, თქვენისავე სიტყვით, თვითონ ღონესაცა ჭსჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოჭმედებს, რაც კაცის თვალს დედა-მიწის გულში ჩასხედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიძლიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიზარებულაო, ამას ამ

სერხით, ამ რსტატობით უფრო ადვილად, უფრო ხელმად ამოიღებო.

«მაგისტანს ღვთის-ნიერს წინამძღოლს ცოდნა ჭქვიან. უამისოდ დედა-მიწა თავის უხვს და უხარბუელს გულის არ გა-დაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვახარებს, რამოდენადაც ჩვენ-თვის მიზარებულნი აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხა-ლხსა, მთხის დღის მიწა ისე უჭირველად აცხორებს მოელს ლჯახს, რამოდენადაც ჩვენში მცნისა და მრძომცნის დღის ჰატრონი ვერა ჭსცხორებს. რადა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-მარღ-ვით ჩვენა გკჯობიან!? არა. იმათ ცოდნა აქვთ, სერხი იცინა. „სერხი სჯობია ღონესა“ თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის.

«ცოდნა ხომ სერხია, მაგრამ თვითონ, თავის-თავადაც სი-მდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავსა, თან მის-დეკს უხარჯოდ და უხარგოდ, ვერცა ვინ მოჭზარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ესლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მე-ტადა ჭსჭირს და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

«ღონიერი და ჭირთა მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდ-ნით მოუჩთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუ-ზღია. «კაცი უნდა სერხი იყოს, გაჭქონდეს და გამოჭქონდე-სო», თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართა-ლიც არის: კაცი სხვის მარგეტ უნდა იყოს და თავისთავისაც. კაცი მარტო მაშინ არის სერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაუჯესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ სერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

«ეგ თქვენ თითონაც კარგად იცით. თქვენ თითონ ყო-ველ-ღვე ჭსკდავთ, რომ ეგ ეგრეს. ალღში გუონის დედას მეტს

არგუნებთ ხელში, კიდრე მესრესა. რადა? იმიტომ რომ გუთნის დედა—მცოდნეა და მესრე კი არა. ურმის მკეთებელი უფრო მეტადა ჭირს მოჭამაგირედ რომ ღვება, კიდრე უბრალო მუშა კაცია, თუნდაც ერთიორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რადა? კიდრე იმიტომ რომ ურმის ხელისანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

«ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თვითონ, თავისთავადაც სიმდიდრეა მეტი, მეტი იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაუჩიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგეძატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჭკავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირ-იქით, იმატებს კიდრე, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწებს ლაზლასსა.

«სანთელს კიდრე იმაში ჭკავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბუუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მზარავს მტერს აფრთხობს, იქ სინათლეს, ჭსჩანს ჭვინავთო და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდრე იმით, რომ იქ ღვიძილია, ძვირძარები დამხვდებიანო.

«სანთელს მარტო იმაში არა ჭკავს, რომ სანთელი, რომელი იქნება, ჩაიწვის და გაჭქრება ხელში; ერთსულ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა: მამიდამ შეიღზედ გადადის, შეიღიდამ შეიღის-შეიღზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

«ცოდნა იმითია კიდრე კარგი, რომ იმან უძივროს-უძივროსობა არ იცის. რომელიც საყდარი, რომელიც ეკვლესია, რომელიც თვითონ ღმერთი ერთნაირად შეიკედრებს, ერთნა-

რად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულს თავადსაცა. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დააშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულ-მონდომილი და მოწადინებულად მივიდეს ცოდნის კარამდისა.

«ახლა სად არის ეგ კარი? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჭკვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ჭკუიანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულ-მტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინებთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავ-გამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახულად და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვარიშვილია, ის აკვანი აი ის ჰატარა შენობას, რომელიც ასე ღამისად უხდება ამ ჰატარას სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან.

«აი სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დაათხრობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჭკვიან. აი ამ ჰატარას სახლიდამ გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყოველგან გამარჯვებულად ფარხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჭკვიან. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჭებენ ჭკუიანას ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ.

«ცოდნა ბევრნაირია. ხოლო აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამისის გულში ჩავსახედებს, მიგვაგნებინებს სად რა სიძლიერე

სძევს და რა რიგის ხერხით, რა რიგის მსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დაკაწკდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.

«მაშ გაუძარჯლოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუძარჯლოს ილია წინამძღვარიშვილს, ამ აკვნის დამდგმელს! გაუძარჯლოს ამ სკოლის მსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს გააწვევენ დასაძინებლად კი არა, გასაწრდელად, გასაღვიძებლად! გაუძარჯლოს ა იმ ჰატარა კაცსაც, თავადს ბებუთაშვილს, რომელმაც დაუზოგველად, უსასყიდლოდ, მარტო ერთის საჭმის სიუვარულისაგამო, თავისი დრო და ცოდნა ამ სკოლის აშენებას მოახმარა! ღმერთმა თქვენც გამარჯვება მოგცეთ ყველგან და ყოველთვის! ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდან გამოსულს შეიღოს შეჭხაროდეთ და იმის ცოდნით იქებზე წამოყენებულმა ოჯახმა, გამოკეთებულმა მამულმა თქვენის თვალთ დაგახანოთ, რომ მართლაც «ხერხი სჯობნებისა ღონესა». მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე იცის გვიმოწმოს, რაც გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: „ის ურჩევნია მამულსაო, რომ შეიღოს სჯობდეს მამასაო».

„თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ, იტყვიან: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც გავათავებ, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად გეუბნებით: «თქვენი გამარჯვებისა იყოსა!»

ხ ი ლ ა დ.

(ბ. ნ. ა. ნანეიშვილის მსჯელობა და რჩევა ქართულის ენის შესახებ).

ჩვენ შევხვდით «დროების» №№ 201 და 202-ში ორ თველტონად გაყოფილს წერილს, რომელსაც სათაურად «ლიტერატურული შენიშვნები» აწერია. ამ წერილში ბუკის საგანზეა ლაპარაკი, მაგალითებზე, იმასზედაც, რომ «იუკრის» არაფერს უყურადღების ღირსს არ წარმოადგენსო, გარდა თ. რაფ. ერისთავის ლექსისაო. რასაკვირველია, მკითხველმა, იმისთანა გამოჩენილ მწერალისაგან, რომელმაც დავით სოსლანი ბძანდებოდა, უკვე იცით, რომ ეკ ეკრეს. ჩვენც ვიცით, რომ მას აქედ, რაც ეხლანდელი რედაქტორი «დროებისა» მოშორდა «იუკრისა», «იუკრისა» რაღა ჩლავი უნდა იყოს. იქნება «იუკრისა» უვარგისობა მარტო ამ მიზეზს უნდა მიუწეროს, მაგრამ ესეც კი უნდა ითქვას, თუ სამართლიანად ლაპარაკი გვინდა, რომ იმისთანა უხეირო ნომრები «იუკრისა», რომელნიც ეხლს ამ ბოლოს დროს გვინახულობს, უწინაც ყოფილა. მამასადაც უხეირობა ამ ყურნალისა სხვა მიზეზებზედაც უნდა იყოს დამკვიდრებული და მკითხველისათვის დაგკითმის ამ აუცილებელის მიზეზის გამოცნობა. ეს კი უნდა წინადაც იცოდეთ, რომ ამ გამოცნობის თავიც «სუა» და ბოლოც «სუ!» ერთი დიდი სა-

უკედური და სამართლიანობა, ის არის, რომ «ივერია» იგვიანებს. მართალია, მაგრამ გარკვეულ რამდენ სწავლას ვუყურობთ, სულ სხვა გამოდის. სხვა «სხვის რამში ბრძენია», ნათქვამია. ეხლანდელს უწყალო დროში ურუნალ-გაზეთობას ათასწიანი ხელშეუბრუნებელი ფათერაკი ჰსდევს. მაგ ფათერაკს კერა ძალი კედარ უძლებს, ყოველი ხერხი უჭმია. ახა გაგიგონიათ, რომ დასაბუჯდი წერილი, ანუ დაბუჯდილიცა ერთს თთვესა და რის თთვესა იალაღზედ სეირნობდეს ჯანმრთელობისათვის? მკურნალმა ასე ინებან. წადი და იბინე! მოდი და ნუ დაიგვიანებ! ეჭ, ესე ყოველი არ ახალია, ძველია! ამას ჯერ-ჯერობით არა ეშველება რა. ჩვენ რაზედაც გვინდა ლაპარაკი, იმაზედ დავიწყეთ.

«დროების» შემოხსენებულს ნომრებში ავტორს «ლიტერატურულ შენიშვნებისას», სხვათა მრავალთა შორის, უნებებია მსჯელობა ქართულის ენის განვითარებასა და გრამატიკაზედ და ამის შესახებ შეუძლებელი შესაძლოდ დაუნახავს და ეს «შეუძლებელი შესაძლო» არამც თუ წარსულისათვის მიუწერია, არამედ სამეცნიეროდაც ჩვენთვის უჩველია.

ამ ხშირებულს დასკვნას წარსულისათვის და არა ნაკლებ ხშირებულს ჩვესა მეცნიერისათვის ბევრი ჩვენგანი მიაჩნევდა უურადადებს. ჩვენც ამან მოგვაკვიდებინა ხელი კალამს და გვსურს მარტო ამ საგანზედ ჩვენი აზრი განვუზიაროთ ჩვენს მკითხველებს, მით უფრო რომ თვითონ საგანი მეტად ღირს შესანიშნავი საგანია.

«შესაძლებელია», ამბობს მართლა და პატივცემული ავტორი: რომ ქართულის ენის და მის გრამმატიკის სიმდიდრე, გრამმატიკულის ფორმის მრავალ-ნაირობა, ენის მოხერხებული მიმდევრის არის შედეგი სხვა-და-სხვა ენების ზედ-გა-

კლენისა. რომელთაგან ჩვენი მწერლობა ითვისებდა უფრო განვითარებულს ფორმა. გრამ ტიკისა ».

რომ მთლად და თვალ-ნათლად დავინახეთ რა არის ნათქვამი აქ პატივცემულ ავტორისაგან, საჭიროა ვთარგმნოთ რჩის სიტყვის მნიშვნელობა, რომელიც ამ წინადადებაშია ჩართული, და მაშინ ცხადი იქნება, რომ რაც შესაძლებელია ფელტონის სუბუქ კალმისათვის, ის ხანდისხან შეუძლებელია ადამიანის მართლ-მსჯელობისათვის. ეგ რჩი სიტყვა «ფორმა და გრამატიკა».

«ფორმა» საკუთრივ გარეგანი სახეა რისაჲ. «გრამატიკა» მეცნიერებაა ენის განონთა მცნობელი, გამომკვლეველი და შემკრები. გრამატიკული ფორმა ნიშნავს გარეგან სახეს ენის განონისას, გრამატიკისაგან ცნობილისას და აღიარებულისას. ახლა ვთარგმნოთ ზემოხსენებული წინადადება ავტორისა:

«შესაძლებელია, რომ ქართულის ენის განონების (გრამატიკის) სიმდიდრე, ენის განონთა გარეგან სახის (გრამატიკულის ფორმების) მრავალ-ნაირობა . . . (და სხვანი) არის შედეგი სხვა-და-სხვა ენების ზედ გაკლენისა, რომელთაგან ჩვენი მწერლობა ითვისებდა უფრო განვითარებულს გარეგან-სახეს ენის განონებისას (ფორმებს გრამატიკისას).

აი ბაზილონის გოდოლი თუ გაგიგონიათ ეს არის. რომ ჩვენს ენას გარეგანი სახე შეეთვისა სხვა ენის განონებისა, ხომ თვითონ განონებიც სხვა ენისა უნდა შეეთვისნა! უამისოდ ხომ ეძმაკისაგან ტიკის ბერკა იქნებოდა, როცა ღვინო არსად იყო.

ახლა ვიკითხოთ: შესაძლებელია ეს? განონი ენისა მისი სული და ხორცია. როგორც შესაძლო არ არის, რომ სულიერმა სხვის სული ჩაიდგას, სხვის ხორცი მიიბას, ისე შეუძლებელია, რომ ენამ სხვა, უცხო ენის განონები მიითვისოს.

გრამმატიკის ფორმების სიმდიდრე, თუ მეტ-ნაკლებობა, გრამატიკულ ფორმების მრავალ-ნაირობა შესაძენი საგანი კი არ არის, არამედ ბუნებრივი კუთვნილებაა ენისა, ენასთან ერთად დაბადებული, ენასთან ერთად შეხორციანებული. თუ ენას ეკ სიმდიდრე, ეკ მრავალ-ნაირობა არ დაჭყლად ბუნებითად, კერა სხვა ენისაგან არამც თუ კერ შეითვისებს, დროებითაც კერ ისესხებს. ჩვენის ქართულის ზმნათა უღელელების ფორმები და თვით უღელელობა მეტად მდიდარია. მაგალითებრ, თუნდა ეს ფორმა: «გადმოატანე». ახა რამდენიც ამ ერთს სიტყვაში წარმოადგენას, იმდენი გამოასატკინეთ ერთს რომელსამე ენას ჭკუნიერობაზედ მარტო ერთის სიტყვით! განა ამისთანა სიმდიდრე სანატრელი არ უნდა იყოს, ესთქვით, რუსულის ენისათვის, რომელიც მაგ ერთის სიტყვის სათარგმნელად ხუთს და ექვს სიტყვას ძლივს დააჯერებს? ახა რა გზით, რა მანქანებით გადიტანთ ამ გრამმატიკულს ფორმას ქართულისას რუსულში, თუნდაც ძალიან მოწადინებული იყოს? ახა როგორ შეითვისებს რუსულის ენის ბუნება ამ ბუნებითს ფორმას ქართულისას? ერთნაირი გრამმატიკული ფორმა რუსულის ენისა, რომელსაც дѣепрічастіе-ს ეძახიან, ძალიან საჭიროა ჩვენის ენისათვის და ამასთანაც დღეს რუსული ენა ჩვენს ენაზედ უფრო განვითარებულია და ჩვენი ენა მის ზედ-მოქმედების ქვეშაც არის. ახა ერთი მოახერხეთ და ეკ საჭირო ფორმა გრამმატიკული მაგ უფრო განვითარებული ენისა შეათვისეთ ჩვენს ენას? ნუ თუ გგონიათ, რომ ეკ შეიძლება ოდესმე მოხდეს?

აი რას ამბობს ერთი მეცნიერი ამ საგანზედ. თუმცა რაცა ესთქვით, ისეც ცხადია, მაგრამ უკლასაგან მეცნიერად

ცნობილ კაცის დამოწმება ბევრ ჩვენთაგანთათვის უფრო დიდი საბუთია.

«უკეთუ ეს რამეული სიტყვა აკლია და არ მოიპოვება მის ლექსიკონში, სხვა ენიდამ შეიძენს, მაგრამ გრამატიკულის ფორმის შექმნა კი, მერე იმისთანისა, რამეულიც უწინ არა ყოფილა იმ ენაშივე, შეუძლებელია. სანდახან კრი მთლად ივიწყებს თავის ლექსიკონს და დედა-ენის სიტყვების მაგივრად ხმარობს უცხო ენის სიტყვებსა, მაგრამ თვით უცხო ენის სიტყვები ეჭვდობარებიან, ითვისებენ იმ ენის გრამატიკას, რამეულიც ის სიტყვები თავისაში გადიტანაო». ამ მხრით, ესე იგი, გრამატიკის ფორმებით ენაო «კერას გზით და კერათურით ვერ შეივსება ისე, როგორც ვერ შეივსება რამეულიც ბუნებრივი ნაკლი ცოცხალის არსებისა, ორგანიზმისაო», ამბობს იგივე მეცნიერი.

პატივცემულმა ავტორმა ეს შეუძლებელი საჭმე შესაძლოდ გახადა არამც თუ უწინდელ დროთათვის, არამედ სამეცნიეროდანაც შესაძლოდ მიაჩნია და გვიჩვენებს შემდეგს:

«თვალ-ყური უნდა ვადვენოთ ქართულის ენის ბუნებას (კარგია, აქ მაინც გახსენებია!) და ვაჩიოთ ისეთი ფორმა დედა და უცხო (ვინ შენ ბიჭს! ავი არ ვადუხვია კიდევ!) ენებში, რამეულიც უფრო მტკიცედ გამოხატავს რთულს და ძალაღ (?) აზროვან წარმოდგენასაო.»

ესეც არ ვიტყვით აქამოდ, რომ არის ქვეყნიერებაზედ ძალაღ აზროვანი წარმოდგენა. ჭსჩანს, რაკი ძალაღ აზროვანი წარმოდგენანი არიან, დაბალ-აზროვანიც უნდა იყვნენ. ეს კი გაგვიგონია, რომ თავების კერძად გამხდარ ძველ რიტორიკებში ყოფილა ადამიანის აზრის სამ გუნდად გაყოფა: ძალაღი აზრი, საშუალო და დაბალი და ამის მისჯდვითაც თვითონ

ენასაც ჰყოფდენ თურმე ძალად, საშუალო და დაბალ ენად და რომ ეს განყოფილება დღესაც მოდაში ყოფილა, ეგ კი, სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცოდით. ამას იქით კი გვეცოდინება. ამას თავი დავანებოთ და კიდევ ავტორის რჩევას მივუბრუნდეთ.

«ყოველივე უსწორ-მასწორობა ენაში და გრამმატიკაში მისინ მოისპობა, ამბობს ავტორი: რაღა ერთის მხრით შევითვისებთ უცხო ენების საუკეთესო ფორმებს და კონსტრუქციებსა და მეორეს მხრით რაღა ჩვენი ყოფა-ცხოვრება შეიცვლება და ჩვენს ენას ცხოვრებაში «გზა ფართო» მიეცემა.»

რასაც ბ-ნი ავტორი მეორეს მხრით ამბობს სრულიად ვეთანხმებით, მაგრამ რასაც «ერთის მხრით» ამბობს, ის კი ვერაფერი ჭაშნიკია. რაც შეეხება ამ წინადადებაში «საუკეთესო ფორმების» შეთვისების რჩევას, ამასვე უკვე ვკითქვამს, რომ ტყუილად ვკადჯევს მაგ «საუკეთესო» რჩევას, რადგანაც შეუძლებელია. კონსტრუქციებზე კი ლაპარაკს ვაკრებამო, ჩვენის შეძლებისამებრ. ჯერ ავხსნათ რას ნიშნავს სიტყვა კონსტრუქცია. კონსტრუქცია საზოგადოდ ნიშნავს აგებულებას საგნისას; შედგენას ნაწილებიდან მართლმისას. კონსტრუქცია ენის საკუთრივ ნიშნავს გაწყობას ცალკე სიტყვებისას ფრაზაში. კონსტრუქცია ქართულის ენისა, რომ იტყვიან, ეგ იმას ნიშნავს, რომ სიტყვები გაწყობილია ქართულის ენის თვისებისამებრ. უკველია, რომ ყოველის ენის კონსტრუქცია მისდა ბუნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული, მისდა თვისებაზე უნდა გამომწილი. ხანდისხან იმისთანა ფრაზა შეგვხდება, რომ ყოველი სიტყვა ფრაზისა ცალკე იცით რა არის, მაგრამ მთელის ფრაზის აზრი კი არ გესმით. ისიც უსათუოდ შეჭხკედრია მკითხველს, რომ ფრაზაში რეგულარული სიტყვა

უცნობია, მაგრამ მთელი აზრი ფრანსისა კი ადვილად საცნობელია. რით აიხსნება ეს ამბავი! მხოლოდ იმით, რომ პირველ შემთხვევაში სიტუებები ენის თვისებისამებრ არ არის გაწყობილი ფრანსაში და მეორე შემთხვევაში კი განწყობილია. აიღეთ თუნდა შედმოქმედება მუსიკისა ადამიანზედ. ხმა, ბგერა უკვლავ ადამიანისათვის, ნემენცია თუ ქართული, ხომ ერთი და იგივეა. მაგრამ ქართულს ქართული სიმღერა ესმის და ნემენცია კი არა. რისაგან? იმისაგან, რომ ქართულს სიმღერაში ხმები, ბგერანი ისე არიან გაწყობილნი, როგორც ქართულის გული ითხოვს და იცნობს. თუ ერთსა და იმავე საგანს, როგორც ხმაა, ბგერაა, გაწყობის გამომ, ქართულისათვის ერთი შედეგი აქვს და ნემენციისათვის სხვა*), მაშ რაღა უნდა ითქვას სიტუებების გაწყობის შედეგზედ, რომელნიც ყოველისთვის სხვა-და-სხვანი არიან სხვა-და-სხვა ერისათვის.

თუ ეს მართალია, ისიც მართალი უნდა იყოს, რომ განხები სიტუებების განწყობისა ფრანსაში რეგანიული კუთვნილება უნდა იყოს ენისა და ამიტომაც შეთვისება ამისა სხვა ენიდამ ენის დაკოდვად, დამახინჯებად უნდა ჩაითვალოს. ახა ქსთარგმნეთ რუსულად თუნდ ამისთანა მარტივი ფრანსა უიძისოდ რომ რუსულ ენის კონსტრუქციას არ შეუთქვართ: «მედი ჩემ-თან.» ახა რუსულის ენის თვისებისამებრ ნუ გადასგანდომსვამთ სიტუებს და ნახავთ რა გამოვს? ყოველი სიტუება ცალკედ ცნობილი იქნება რუსისათვის და აზრი ფრანსისა კი

*) იქნება აქ მიგვიითონ მაგალითზედ და გვითხრან: ბევრი ქართველია რომ არ ესმის ქართული სიმღერაო და უფრო ეცნება ნემენცურსაო. შესაძლებელია, როგორც ის რომ ბევრი ქართველია ქართული არ იცის და ნემენცური კი ძილიან კარგად. რა ვუყოთ, თუ კაცს თავისი გულიდამ ამოულია და სხვისი ჩაუდგია?

არა. ახსნის ეგვიპტის ესეთი გაწეობა ამ სამის სიტყვისა: ПРИХОДИ МНѢ КО, ანუ იგივე აზრი გადმოიღეთ ქართულად რუსულის კონსტრუქციით: მოდით თან ჩემ. ეს ენის უფლის გამიჭრას და არა გამდიდრება.

განა შესაძლებელია, რომ ეს ამისთანა, ანუ სხვა ნაირი გაწეობა სიტყვებისა ფრანგულში ერთმა ენამ სხვა ენიდან შეითვისოს თავისი ბუნების წინააღმდეგ?

არა, ბატონო, გრამმატიკული ფორმები ენისა და მისი კონსტრუქცია სხვა უცხო ენიდან არ გადმოიღება, ერთიცა და მეორეც უფროს ენასა თავისი აქვს. ნუ თუ ბ-ნს ავტორს ჭგონია, რომ ქართული ენა შეიფერებს ამ გვარს ფორმას, რომელიც ბ-ნ ავტორს პირ-და-პირ რუსულიდან გადმოიღო «დროების» № 201: «ჩვენ აქ არ ბარდავსთვლით (მითანა და перечислимъ) უკუა იმ პირობებს»... და სხვანი. «გარდავსთვლით პირობებს» რომელი ქართულია? აქ ბ-ნ ავტორს პირ-და-პირ გადმოიღო რუსული пере და ის კი არ უფიქრია, რომ ამ შემთხვევაში ქართული ენა пере-ს ვერ მოიხდენს და თუ ვინმე აჭკიდებს, დაამახინჯებს. ქართული გარდავსთვლის» მაგიერად იტყოდან: «ჩამოვთვლით». ახლა ამას დაინახებს ბატონი ავტორი, თქვენ რა გესმითო? მე ამით ენას ფორმებით ვამდიდრებო. ამისთანა ძალად ცხონებას ღმერთმა გვაძლავს. ან თუნდა აიღეთ იგივე ფულტონი იმავე ავტორისა და გასინჯეთ ნაცვალ-სახელები, რომლის ხშირად ხმარება წინააღმდეგია ჩვენის ენისა, რა უგემურად ჩაჩხირულა უკუაგან, საცა საჭირო არ არის. სულ რისგამო? იმის-გამო რომ რუსულის ენის თვისებისამებრ შეუდგენია ბ-ნს ავტორს ქართული ფრანგა. აი მაგალითებრ იმავე ფულტონიდან. «ეს აზრი ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენს გაზეთში და

სრულად სამართლიანადაც მიგვაჩნია იზი. მაგრამ ეს გარემოება ვერასოდეს ვერ გვაფიქრებინებს, ვითომც ჩვენს საზოგადო აზრს და მწერლობას ანაკითხარი წარმატება არ მისცემოდეს და უკან-უკან იხეოდეს იზი. კარგი მომავალი მოულის იმ ხალხს, რომელიც მედგრად ებრძვის თავის წარმატების შემთხვევებს მიზეზებს და თან-და-თან სძლეოს «მათ.» ახლა იკითხეთ: ის რა «იგი» და ერთი «მათ» რომ ჭრტებსავით არ წამოჭიმულიყვნენ ამ ფრანგებში სრულად უსაქმოდ, ქართული ენა დაემდურებოდა თუ? ახა დააკვირდით და ჰკითხეთ მაგ უბილეთო ნაცვალ სახელებს: ამ ფრანგებში რას აკეთებთ, რა ხელი გაქვთ-თქო? განა უმაგათოთაც ისეც ცხადი არ არის, რა მიაჩნია ავტორს სამართლიანად პირველს წინადადებაში, ვინ და რა უნდა უკან-უკან იხეოდეს მერქში და ვინ რასა სძლეოს თან-და-თან მესამეში? მაგრამ რას იზამ? განკითხვების რუსულის ენის ფრანგულად «უმაგ»-იგიბოთ და «მათოდ» ცხადის აზრის ფრანგს ვერ შეადგენდა და ქართულის მოყვარე ავტორს რაგორ მოეთმინა, რომ ეს სიმდიდრე რუსულის ენის ფრანგულად ქართულისათვის არ მიუთვისნა. ეს კი აღარ უფიქრია, რომ ებ ტყუილი «იგი-ები და მათ-ები» ქართულს ენას უწყალოდ თვალსა ქსთხრის და ამახინჯებენ, რაცა საჭირონი არ არიან რადგანაც თვითონ ზმნებში იგულისხმებიან ჩვენის ენის გრამატიკულ ფორმის წყალობითა.

მაგისთანა გამდიდრება ჩვენზედ რომ შორს იყოს, ძალიან კარგი იქნება. ჩვენის ენის ფორმები და ფრანგულად, რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენ ნებას გვაძლევს გძელი სიტყვა მოკლედ ვქსთქვათ და ტყუილ უბრალოდ ნაცვალ სახელებით არ ავაჭრულეთ ფრანგს, თუ ვისმე ენის სიღარიბედ მიაჩნია,

დეე მიაჩნდეს—ჩვენ ეგ სიღარიბე გვიჩვენია ავტორისაგან ქა-
დებულს სიმდიდრესა.

მაშ რა უნდა ეთქვას ავტორსაო, ამისთანა მაგალითებით
და რჩევითაო? იკითხავს მკითხველი. მაგალითებით ისა, რომ
ქართულზედ ცოტა ხელ-ნაკლები და დაქვეითებული ყოფილა,
რჩევით კი გვგონია სულაც ის არ უნდოდა ეთქვას, რასაც
ფელტონი ამბობს. ჩვენა გვგონია ის უნდოდა ეთქვას, რომ
ჩვენი ენა სიტყვებით უნდა გაკამდიდროთო, თუ რამ გვაკლია
ამ მხრით ან ჩვენს ენაში არ მოიძებნება, სხვა ენიდამ შეძრ-
ვიტანოთო. სხვა უცხო უფრო განვითარებული ენების გრამ-
მატიკული ფორმები, კონსტრუქციის, ანუ უკეთ ვსთქვათ,
ფრაზეოლოგიის განონები უნდა შევისწავლოთო. ამ ცოდნის
ხელმძღვანელობით ჩვენს ენის გრამატიკა და ფრაზეოლოგია
შევიძევაოთო, რომ ენის უსწორ-მასწორება მოისწოსო და
ყოველის აზრის სასიამოვნოდ და ნათლად გამოხატვას, გამო-
თქმას ადვილად შესაძლებელ იქმნას და არა ასეთის გაჭირებით,
როგორათაც ეხლა არისო. თუ მართლაც ეს უნდა ეთქვას, ამის
მეტე არა გვეთქმის რა: ნეტავი, თქვენის დღე-გრძელობით!

მაგრამ მაინცა-და-მაინც ყოველი ამ გვარი გამდიდრება და
შეძევა ჩვენს ენის ბუნებას უნდა შეეთვისოს, თორემ შე-
იძლება სიტყვები ქართული იყოს და ენა კი გარმიანული. ავ-
ტორს ერთს რასმეს კი ვთხოვთ: მეორედ შეუძლებელის შესა-
ძლად მოჩვენებას ნუ იხეებს. ჩვენ ქართულნი ვართ, მაღე
ავუკებით ფეხის ხმასა და გადავიჩეხებით სადმე. შეუძლებე-
ლის დევნაში შესაძლებელიც ხელიდამ არ გამოგვეცალას!